



# საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი  
შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა,  
საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი  
გამოძიების სერტიფორისო სტანდარტები



# საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი  
შესაძლო დანაშაულების გამოძიების  
პრაქტიკა, საკანონმდებლო  
რეგულაციები და ეფექტიანი  
გამოძიების საერთაშორისო  
სტანდარტები

2014 წელი



ევროკავშირი



სახალხო  
დამსჯელის  
აკარატი

გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.  
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

# სარჩევი

შესავალი	5
1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2013 წელს შესწავლილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები	6
2. ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები	16
3. საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებთან	21
I. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	21
i. სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა	23
ii. სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის მიხედვით	38
II. ზედმინწივნილობა	51
III. სისწრაფა	53
IV. კომპეტენცია	55
V. მსხვერპლის მონაწილეობა საზოგადოებრივ კონტროლში	57
დასკვნა	61
რეკომენდაციები	62



## შესავალი

დაკავებულთა მიმართ წამების, არასათანადო და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტების არაჯეროვანი გამოძიება წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სამართლებრივი სისტემის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს. საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი ანგარიში ამ პრობლემას მუდმივად წარმოაჩენდა, თუმცა, სამართლებრივი სისტემისა თუ პრაქტიკის შესაცვლელად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული არ ყოფილა. პრობლემის აქტუალობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2012 წლის სექტემბერში, ციხეში წამების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ. მოგვიანებით, დასავლეთ საქართველოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლირებად ტერიტორიაზე ნაპოვნმა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ამსახველმა ვიდეოჩანაწერებმა ცხადყო, რომ არასათანადო მოპყრობა და წამება მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემის ნაწილი არ იყო და წარმოაჩინა პრობლემის მასშტაბურობა. სამართალდამცავთა მხრიდან მსგავსი ქმედებების პრაქტიკად გადაქცევას ხელი შეუწყო წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა დაუსჯელობის სინდრომმა – საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება ან არ ხორციელდებოდა, ან/და მხოლოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად და უფლებამოსილების გადამეტებად კვალიფიცირდებოდა.

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე შემოტანილი საჩივრების და მათი შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიე სპეციალური ანგარიშის მომზადება, რომელიც მიმოიხილავს ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს; ასევე, შემოსული საჩივრების შინაარსსა და ეფექტური გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებს.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ორმოცამდე განცხადება/საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სამართალდამცავი პირების მიერ, მოქალაქეთა დაკავებისას ან/და დაკავების შემდგომ, სავარაუდო არასათანადო და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული შესწავლის შედეგების მიხედვით, აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება წარიმართა/წარიმართება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება); ამასთან, კონკრეტული სამართალდამცავი პირების მიმართ არც სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული და არც შემაჯამებელი გადანწყვეტილებაა მიღებული. ცალკეულ შემთხვევებში კი, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, შეწყდა ან არ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება. აღსანიშნავია, რომ გამოძიების მწარმოებელი ორგანოების მიერ, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი წერილები იდენტური შინაარსის შემცველია, ზოგადი მითითებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, კონკრეტულის გარეშე.

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საჩივრები, საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არასათანადო და ღირსებისშემლახავი ფაქტების გამოძიების შესახებ და მსგავსი ფაქტების გამოძიების პრაქტიკა; ამასთან, დეტალურად არის მიმოხილული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარების საკითხები – ეფექტიანი გამოძიების წარმოების საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული პრობლემების ჭრილში და ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების სტანდარტები. აღნიშნული ანალიზის ფონზე, საქართველოს სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს სამართალდამცავთა მიერ სიცოცხლის მოსპობის ან/და წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიებისათვის სამართალდამცავი ორგანოებისგან დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნას. როგორც ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა – თომას ჰამარბერგმა თავის 2013 წლის ანგარიშში – საქართველო გარდამავალ პერიოდში აღნიშნა – „ასეთი მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს დამოუკიდებლობის, ადეკვატურობის, დროულობის, დეტალური საჯარო განხილვისა და მსხვერპლთა თანამონაწილეობის პრინციპებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე“.<sup>1</sup>

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკის, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზს.

## 1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2013 წელს შესწავლილი საპარატო არასათანადო მოპყრობის ფაქტები

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა 40-მდე განცხადება/საჩივარი, სადაც მოქალაქეები სამართალდამცავი პირების მიერ დაკავებისას (2013 წლის პერიოდში) განხორციელებულ არასათანადო და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე საუბრობდნენ, ცალკეულ შემთხვევებში საჩივარს თან ერთვოდა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია ან/და სხეულზე არსებული დაზიანებები დააფიქსირეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა.

<sup>1</sup> საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, 2013 წელი, გვ. 34.



წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი 40 განცხადებიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული 12 შემთხვევა, საჩივრების შინაარსის, სახალხო დამცველის აპარატის ქმედებების და საგამოძიებო ორგანოების მიერ განხორციელებული რეაგირების წარმოჩენის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, დროებითი მოთავსების იზოლაციორების მონაცემებით, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ყველაზე მეტი პრეტენზია დაკავებულთა მიერ გამოთქმული იყო მარნეულის, თბილისის, გორის, ზუგდიდის, ბათუმის, მცხეთის, თელავის და ქუთაისის პოლიციის თანამშრომლების მიმართ. რიგ შემთხვევებში, დაკავებულები პირდაპირ უთითებენ კონკრეტული პოლიციელის სახელს, ვინც მათ დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლაციორის მონაცემებით, 17 ასეთი შემთხვევიდან დაკავებულები 5-5 შემთხვევაში პრეტენზიას გამოთქვამდნენ შს სამინისტროს ქუთაისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე და მეორე განყოფილების თანამშრომლების მიმართ, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში პოლიციის სხვადასხვა განყოფილების თანამშრომლების, ასევე საპატრულო პოლიციისა და სამხარეო სამმართველოს პოლიციის თანამშრომლების მიმართ.

1. მოქალაქე მ.გ. დააკავეს 28.04.13. სს კოდექსის 239-ე მუხლის საფუძველზე, 21:45 სთ-ზე, დმი-ში შეიყვანეს 29.04.13. 00:35სთ-ზე. შსს ქუთაისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა მას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები - სისხლნაჟღერებები, ექსკორაციები სახეზე და მთელ სხეულზე.

2. მოქალაქე ც.გ. დააკავეს 08.05.13. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე 01:10 სთ-ზე, დმი-ში შეიყვანეს 07:25სთ-ზე. შსს ქუთაისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღენიშნებოდა ზოგადი დაჟეჟილობები.

3. მოქალაქე გ.ე. დააკავეს 12.03.13. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე 23:00სთ-ზე, დმი-ში შეიყვანეს 13.03.13. 02:00სთ-ზე. ბოლნისის პოლიციის შენობაში პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღენიშნებოდა ექსკორაციები ზედა და ქვედა კიდურებზე, შესივება სინითლით წარბებს შუა.

4. მოქალაქე მ.ჩ. დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე 10.04.13. 19:00 სთ-ზე, დმი-ში შეასახლეს 22:00 სთ-ზე. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მარნეულის სამმართველოს სადახლოს განყოფილების თანამშრომელმა მ.შ.-მ. აღენიშნებოდა მარჯვენა მაჯის სახსრის ტრავმა.



*მოქალაქე გ.ბ.-ს საქმე*

2013 წლის 26 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მოქალაქე გ.ბ.-ს. განმცხადებლის განმარტებით, 2013 წლის 2 იანვარს გურჯაანის პოლიციის დეტექტივ-გამომძიებლის თანაშემწემ ვ.დ.-მ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამასთან, მოქალაქის მტკიცებით, ვ.დ.-მ დააკავა პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის, რა დროსაც არ განუმარტა კანონმდებლობით გარანტირებული პროცესუალური უფლებები. განმცხადებლის განმარტებით, მოცემულ ფაქტზე შემდგომი სამართლებრივი რეაგირების მოთხოვნით, 2013 წლის 3 იანვარს მიმართა განცხადებით გურჯაანის პროკურატურას. თუმცა, გამოძიების დაწყების მიუხედავად, მოქალაქე გ.ბ. თვლიდა, რომ გამოძიება მიმდინარეობდა არაეფექტურად და უსაფუძვლოდ ჭიანურდებოდა. მოქალაქე გ.ბ. იმ დრომდე არ იყო დაკითხული და დაზარალებულად ცნობილი.

2013 წლის 12 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2013 წლის 28 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2013 წლის 3 იანვარს გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში, მოქალაქე გ.ბ.-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, იმ ეტაპზე, საქმეზე არ იყო მოპოვებული მტკიცებულებათა საკმარისი რაოდენობა გ.ბ.-ს დაზარალებულად ცნობისათვის.

*მოქალაქე ი.კ.-ს საქმე*

2013 წლის 26 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მოქალაქე ი.კ.-ს. განმცხადებლის განმარტებით, 2012 წლის 8 დეკემბერს გურჯაანის პოლიციის სამმა თანამშრომელმა რ.ქ.-მ და კიდევ ორმა სამართალდამცავმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამასთან, მოქალაქის მტკიცებით, სამართალდამცავებმა იგი დააკავეს პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის, რა დროსაც არ განუმარტეს მისი კანონმდებლობით გარანტირებული საპროცესო უფლებები.

2013 წლის 12 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირების მიზნით მიმართა საქართველოს პროკურატურას, საიდანაც 2013 წლის 28 მარტს ეცნობა, რომ 2012 წლის 19 დეკემბერს გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*მოქალაქე ვ.კ.-ს საქმე*

2013 წლის 11 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში მოთავსებულმა ბრალდებულმა ვ.კ.-მ, რომელიც სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით ითხოვდა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრას. შესაბამისად, 2013 წლის 20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა სასჯელალსრულების №8 დაწესებულებაში მოინახულა ბრალდებული ვ.კ. და მის მიერ აღწერილი შესაძლო დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტის დეტალები დააფიქსირა შესაბამის ოქმში. ზემოაღნიშნული განცხადებიდან და ოქმიდან ირკვევა, რომ მოქალაქე ვ.კ. დააკავეს 2013 წლის იანვრის შუა რიცხვებში სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე. განმცხადებლის მტკიცებით, დაკავების შემდეგ იგი გადაიყვანეს გურჯაანის რაიონულ სამმართველოში, სადაც პოლიციის ოთხმა თანამშრომელმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ქურდობის აღიარების იძულების მიზნით. მისივე განმარტებით, განხორციელებული ძალადობის შედეგად მას ამოუვარდა მარჯვენა მხარი, აწუხებს თირკმლებისა და თავის ტკივილები და დაავადდა ნევროზით.

2013 წლის 13 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას შემდგომი რეაგირების მიზნით. 2013 წლის 27 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ 2013 წლის 21 თებერვალს კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*მოქალაქე ტ.ა.-ს საქმე*

2013 წლის 23 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მოქალაქე ტ.ა.-ს. განმცხადებლის განმარტებით, 2013 წლის 6 იანვარს პოლიციის თანამშრომლებმა მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. თავდაპირველად მის მიმართ ძალადობა განხორციელდა პოლიციის თანამშრომლების ავტომანქანაში, რომელშიც სამართალდამცავებმა ჩასვეს ძალის გამოყენებით, ხოლო, მოგვიანებით ვანის პოლიციის განყოფილებაში. ამასთან, განმცხადებლის განმარტებით, სამართალდამცავებმა დაარღვიეს მისი საპროცესო უფლებები.

2013 წლის 27 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2013 წლის 13 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ 2013 წლის 11 მარტს სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმე-

---

თა სამინისტროს ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*მოქალაქე ზ.ბ.-ს საქმე*

2013 წლის 10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აჭარისა და გურიის რეგიონული დროებითი მოთავსების იზოლატორში წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მოქალაქე ზ.ბ.-ს. მისი განმარტებით, 2013 წლის 8 თებერვალს სამართალდამცავებმა მის მიმართ განახორციელეს არასათანადო მოპყრობა, მიაყენეს ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, ასევე, დაურღვიეს კანონმდებლობით გარანტირებული საპროცესო უფლებები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. 2013 წლის 21 თებერვალს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ 2013 წლის 20 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*მოქალაქე მ.გ.-ს საქმე*

2013 წლის 5 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე მ.გ.-მ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 2013 წლის 10 მარტს, 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, იგი გათავისუფლდა სასჯელის სახით დაკისრებული თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან. გათავისუფლებიდან დაახლოებით 10 დღეში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს პოლიციის უფროსის მოადგილემ მიიყვანა პოლიციის შენობაში და მოსთხოვა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. მ.გ.-ს თქმით, 2013 წლის 31 აგვისტოს იგი საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს წყალტუბოს პოლიციის უფროსმა – რ.ქ.-მ და მისმა მოადგილემ – ს.-მ (მოქალაქეს გვარი არ ახსოვს). აღნიშნულმა პირებმა, პოლიციის შენობაში მ.გ.-ს შარვლის ჯიბეში ჩაუდეს მარინუანა და შეადგინეს შესაბამისი ოქმი. მოქალაქის მტკიცებით, ზემოთხსენებული პირები ურტყამდნენ თავის არეში და ფეხებში, ამასთან, პოლიციასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ შედგენილი ოქმის დანვას დაპირდნენ. მ.გ.-ს თქმით, რ.ქ.-მ იგი გაათავისუფლა, თუმცა, დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით და შვილის დაკავებით, თუ 5 დღის ვადაში არ შეასრულებდა მის დავალებას.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს პროკურატურიდან ეცნობა, რომ 2014 წლის 28 იან-

ვარს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №041280114802 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

#### *მოქალაქე ვ.ლ.-ს საქმე*

ვ.ლ.-ს განცხადებით, 2013 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს დაახლოებით 21 საათზე, იმყოფებოდა რუსთაველი ბალანჩივაძის ქუჩაზე მდებარე ა.გ.-ს სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდა საქართველოს შს სამინისტროს რუსთაველი პოლიციის სამმართველოს უფროსი ზ.ა., რომელმაც მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მალევე დატოვა აღნიშნული სახლი. ვ.ლ.-ს განცხადებით, ა.გ.-ს სახლის დატოვებისას, კორპუსთან ახლოს დახვდა ზ.ა., რომელმაც ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში. ვ.ლ.-ს მტკიცებით, ზ.ა. ხელებით და გაურკვეველი ნივთით, რომელიც ხელში ეჭირა, სცემდა მას, ასევე, საბრძოლო მზადყოფნაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი მიადო სახეზე, რის შემდეგაც ცალი ხელით ცდილობდა ვ.ლ.-ს დახრჩობას. ვ.ლ. ზ.ა.-ს ავტომანქანიდან ნაცნობებმა და გამვლელმა პირებმა იხსნეს და ერთ-ერთის ნათესავის სახლში წაიყვანეს. ამ სახლიდან გამოსვლის შემდეგაც, ქუჩაში ვ.ლ.-ს კვლავ დახვდა ზ.ა. 10-12 პოლიციელთან ერთად. ვ.ლ.-ს განმარტებით, პოლიციელებმა იგი მიწაზე დააგდეს და უმოწყალოდ სცემეს. ვ.ლ.-მ გონება დაკარგა და როცა გონს მოვიდა, რუსთაველი პოლიციის №2 განყოფილებაში იმყოფებოდა, სადაც გაგრძელდა მისი ცემა. იმავე ღამით, ვ.ლ. გადაიყვანეს გარდაბანში, დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მას დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, საქართველოს შს სამინისტროს რუსთაველი საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილებაში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ვ.ლ.-ს წინააღმდეგ, საქართველოს სს კოდექსის 353<sup>1</sup> მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა).<sup>2</sup> ხოლო, 2014 წლის 24 იანვარს აღნიშნული სს საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე პოლიციის თანამშრომლების მიერ ვ.ლ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ დაწყებული არ არის.<sup>3</sup>

#### *მოქალაქე შ.კ.-ს და ა.ჯ.-ს საქმე*

მოქალაქეების შ.კ.-ს და ა.ჯ.-ს ადვოკატი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოტანილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, თბილისში, ვარდების მოედანზე, სამოქალაქო

2 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 27 იანვრის წერილი.

3 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 7 მარტის წერილი.

ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელებმა სცემეს შ.კ. და ა.ჯ. შემდეგ, ორივე მათგანი გადაიყვანეს ძველი თბილისის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში, სადაც მთელი ღამის განმავლობაში განაგრძობდნენ დაკავებულიების ცემას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის საქართველოს შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წლის 28 ოქტომბერს დაკავებული შ.კ.-ს მიმართ სს საქმის გამოძიება დაიწყო საქართველოს სს კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. თუმცა შ.კ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, არ შეიცავდა იმ ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას, რაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. ამიტომ შ.კ.-ს მიმართ შეწყდა სს საქმე და იგი გათავისუფლდა, ხოლო ა.ჯ. სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ.<sup>4</sup>

შ.კ.-ს ადვოკატმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2013 წლის 29 ოქტომბრის მიმართვის საფუძველზე მომზადებული დასკვნის ასლი შ.კ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დასკვნის მიხედვით, შ.კ.-ს აღენიშნება დაზიანებები (სისხლნაჟღენთები) სახის არეში, რომელიც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს. საქართველოს სახალხო დამცველმა, 2014 წლის 21 მარტს, საქართველოს მთავარ პროკურორს შ.კ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სს გამოძიების დაწყების მოთხოვნით, წინადადებით მიმართა.

#### *მოქალაქე ზ.კ.-ს საქმე*

მოქალაქე ზ.კ.-ს. წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, 2012 წლიდან რუსთავის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მასზე პერმანენტულად ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა და მუქარა, რათა მას ეთანამშრომლა სამართალდამცავებთან და მიეწოდებინა ინფორმაცია შესაძლო დამნაშავე პირებთან დაკავშირებით. ახსნა-განმარტების მიხედვით, 2013 წლის 6 თებერვალს ზ.კ.-ს რუსთავის პოლიციის განყოფილების უფროსმა დ.ს.-მ და დაახლოებით 15-მა სამართალდამცავმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მოქალაქის მტკიცებით, სამართალდამცავებმა ასევე დაარღვიეს მისთვის კანონმდებლობით გარანტირებული პროცესუალური უფლებები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2013 წლის 22 თებერვალს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ზ.კ., მისი ოჯახის წევრები, მეზობლები და პოლიციის თანამშრომლები; ზ.კ.-ს

4 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 11 თებერვლის წერილი.



---

ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სს საქმეზე გამოძიება გრძელდება. ამასთან, ზ.კ. დაზარალებულად ცნობილი არ არის და არც კონკრეტული პირების მიმართ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.

*მოქალაქე კ.ყ.-ს საქმე*

მსჯავრდებულ კ.ყ.-ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მიცემული ახსნა-განმარტებით, 2012 წლის 7 დეკემბერს დააკავეს ფოთში და გადაიყვანეს ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც სამართალდამცავებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებული ასევე აცხადებს, რომ იგი გირაოთი გათავისუფლდა 2013 წლის 11 სექტემბერს, თუმცა ამავე დღეს გირაოსთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე ხელმოწერის საბაბით მიიყვანეს თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში. მსჯავრდებულის მტკიცებით, როგორც გადაყვანილსას ტრანსპორტში, ასევე თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის შედეგადაც მიიღო დაზიანებები, კერძოდ, მარჯვენა ფეხის თითების მოტეხილობა. გარდა ამისა, მსჯავრდებულის მტკიცებით, მის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა ასევე სასჯელაღსრულების №7 და №8 დაწესებულებებში გადაყვანის შემდეგაც.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან. საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2013 წლის 14 მაისს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №010140513801 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2013 წლის 25 ივნისს მოწმის სახით დაიკითხა მსჯავრდებული კ.ყ. პოლიციის თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებულ არამართლზომიერ ქმედებებთან დაკავშირებით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

*მოქალაქე ბ.გ.-ს საქმე*

2013 წლის 16 იანვარს მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო არასრულწლოვან ბ.გ.-ს მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლა. კერძოდ, არასრულწლოვანი ბ.გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებს 2013 წლის 8 იანვარს, მისი და მისი ძმის ლ.გ.-ს მოწმის სტატუსით დაკითხვის პროცესში ზეწოლაში, მუქარასა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების მიხედვით, აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება არ დაწყებულა<sup>5</sup>. გამოძიება არ უნარმოებია არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ჩატარებული იქნა მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმება, საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ<sup>6</sup>.

### *მოქალაქე ვ.ბ.-ს საქმე*

2013 წლის 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე ვ.ბ.-მ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 12 ნოემბერს, დაახლოებით დღის 13:15 საათზე იგი იმყოფებოდა თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩის №23 მდებარე მისი ძმების ტ. და რ.ბ.-ების, ოფისში. ამ დროს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ორმა პირმა პირადობის მონმობა მოსთხოვა იქვე მომუშავე გ.მ.-ს, რომლის შეკითხვის პასუხად, აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ პოლიციის თანამშრომლები იყვნენ და წარუდგინეს სამსახურებრივი მონმობები. მოქალაქე ვ.ბ. ჩაერთო საუბარში და აღნიშნა, რომ გ.მ.-ს კარგად იცნობდა. ვ.ბ.-ს თქმით, ამ განცხადების დასრულებისთანავე ერთ-ერთმა პოლიციელმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი დააგდეს იატაკზე და ძალის გამოყენებით ჩასვეს „შკოდა ოქტავიას“ ფირმის თეთრი ფერის ავტომობილში. განმცხადებლის მტკიცებით, პოლიციის თანამშრომლებმა მისი ცემა ავტომანქანაშიც განაგრძეს. ვ.ბ.-ს განმარტებით, პოლიციელებმა ძველი თბილისის რაიონის პოლიციაში იგი უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებულმა დაკავებულის ძმამ, ტ.ბ.-მ, რომელმაც ნახა განმცხადებლის მდგომარეობა, პოლიციის სამმართველოს უფროსს ვ.ბ.-სთვის სამედიცინო შემოწმების ჩატარების თხოვნით მიმართა, თუმცა დაკავებული ამ თხოვნის დაუკმაყოფილებლად გადაიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიიღო ვ.ბ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები. მასალებიდან ირკვევა, რომ 2013 წლის 22 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო დადგენილება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე, ვ.ბ.-სთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2013 წლის 20 ნოემბერს, ვ.ბ.-ს საჩივარზე რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. მიმართვას თან ერთვოდა სამედიცინო ცნობა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა ვ.ბ.-ს ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ. ვ.ბ.-მ მისი ცემის ფაქტის შესახებ განაცხადა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის წინაშე, მის წინააღმდეგ საქმის განხილვის დროს, რაც დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღე-

<sup>5</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 8 თებერვლის წერილი.

<sup>6</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 19 თებერვლის წერილი.



ბული ინფორმაციით, 2013 წლის 30 დეკემბერს ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №006301213801 საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.<sup>7</sup>

მოქალაქეთა მიმართ სამართალდამცავი პირების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებათა გახშირების გამო, 2013 წლის 29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებებით<sup>8</sup> მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს მთავარ პროკურორს. საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა, როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარება, სამართალდამცავების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, ისე მათ მიერ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე სწრაფი რეაგირება და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2013 წლის 29 მაისის წინადადებაში მოყვანილი 9 ფაქტიდან<sup>9</sup> 2 საქმეზე არ დადასტურდა სამართალდამცავი პირების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი და შესაბამისად, შეწყდა გამოძიება. ხოლო, დანარჩენ ფაქტებზე მიმდინარეობს გამოძიება და ცალკეულ საქმეებზე გამოძიების მწარმოებელ დანაყოფებს მიეცათ მითითებები, თუმცა, შემაჯამებელი გადანყვეტილებები მიღებული არ არის.<sup>10</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ზემოაღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, როგორც წესი, კონკრეტული სამართალდამცავი პირების მიმართ არც სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული და არც შემაჯამებელი გადანყვეტილებაა მიღებული. საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ან სამართალდამცავების მიერ ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტების თაობაზე მხოლოდ გამოძიების დაწყება, გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურება და გამოძიების შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი ინფორმირებულობა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ყველა მსგავსი დანაშაულის დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების პოზიტიური ვალდებულების შესრულებას. ამასთან, ზემოთ მოყვანილი შემთხვევები ნათელს ხდის მსგავსი საქმეების კვალიფიკაციის იმავე ტენდენციას, რაც დამკვიდრებული იყო წლების განმავლობაში – პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების თუ არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება წარიმართება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

7 საქართველოს პროკურატურის 2014 წლის 3 იანვრის №13/201 წერილი.

8 2013 წლის 29 მაისის წინადადებებში საქართველოს სახალხო დამცველმა აღწერა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული, სამართალდამცავების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ათი ფაქტი.

9 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 ივნისის წერილით, მოქალაქე გ.მ.-ს საქმის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა;

10 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 ივნისის წერილი.

## 2. ევრატიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები

გამოძიება სახელმწიფოს პოლიციური ფუნქციის შემადგენელი ელემენტი და შესაბამისად, სახელმწიფოს შიდა სამართლის რეგულირების საგანია. თუმცა, ადამიანის უფლებებთან (წამების აკრძალვა, სიცოცხლის უფლება) დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებები და ტრანს-სასაზღვრო დანაშაულების წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობა, იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები, ქვეყნის შიგნით სათანადო საგამოძიებო მექანიზმის არსებობას ითხოვს.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 31-ე ზოგადი კომენტარის თანახმად (პაქტის წევრი სახელმწიფოებისთვის დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი მოვალეობების ხასიათის შესახებ),<sup>11</sup> „ადმინისტრაციულ ორგანოებს განსაკუთრებით მოეთხოვებათ აღასრულონ ზოგადი მოვალეობა და დარღვევების შესახებ განცხადებები გამოიძიონ სწრაფად, ზედმინევიტით და ეფექტურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოების მეშვეობით [...]. წევრი სახელმწიფოების უმოქმედობა – გამოძიება ჩაატარონ დარღვევის შესახებ განცხადებების პასუხად, თავისთავად წარმოადგენს პაქტის დამოუკიდებელ დარღვევას [...]“. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ინდივიდუალური შეტყობინებების განხილვისას ხშირად მოითხოვს სახელმწიფოსგან სრულყოფილი და სწრაფი გამოძიების ჩატარებას, რაც შესაძლებელს გახდის დამნაშავეების მართლმსაჯულებისთვის წარდგენას (მაგ. *ბასილიო ლორენო ათაჩაპუა პერუს წინააღმდეგ*, *ზელაია ბლანკო ნიკარაგუას წინააღმდეგ*<sup>12</sup>).

გაეროს გენერალური ასამბლეის მთელი რიგი რეზოლუციები და დეკლარაციები, რომლებიც ადგენენ სტანდარტებსა და ნორმებს დანაშაულის პრევენციასთან და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით<sup>13</sup>, მიუთითებენ „სწრაფი, ზედმინევიტითი და მიუკერძოებელი გამოძიების“ ჩატარების ვალდებულებაზე.<sup>14</sup>

გამოძიებასთან დაკავშირებით უფრო დეტალურ სტანდარტებს ადგენს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყ-

11 ზოგადი კომენტარი No. 31 [80], პაქტის წევრი სახელმწიფოებისთვის დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი მოვალეობები, 26 მაისი, 2004, ხელმისაწვდომია: [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CCPR%2fC%2f21%2fRev.1%2fAdd.13&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CCPR%2fC%2f21%2fRev.1%2fAdd.13&Lang=en)

12 ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საქმეები, 2006, გვ. 55, გვ. 81.

13 Compendium of United Nations Standards and Norms in Crime Prevention and Criminal Justice, ხელმისაწვდომია: <http://www.unodc.org/unodc/en/justice-and-prison-reform/compendium.html>

14 იხ. მაგ: Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (General Assembly Resolution 43/173, დანართი, პრინციპი 7 და პრინციპი 9), Guidelines for Action on Children in Criminal Justice System (Economic and Social Council Resolution 1997/30, II.B.25), Declaration on the Protection of All Persons from Being Subjected to Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment (General Assembly Resolution 3452(XXX) დანართი, მუხლი 8 და მუხლი 9).

---

რობის ან დასჯის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები<sup>15</sup> (შემდეგში „ნამების გამოძიების პრინციპები“) და „კანონგარეშე, თვითნებური და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის ეფექტური აღკვეთისა და გამოძიების პრინციპები“<sup>16</sup> (შემდეგში „კანონგარეშე სიკვდილით დასჯის გამოძიების პრინციპები“). ორივე აქტი მოითხოვს, რომ<sup>17</sup>:

- სახელმწიფომ უზრუნველყოს დაუყოვნებლივი და ეფექტური გამოძიების ჩატარება იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს ფორმალური განცხადება, როდესაც არსებობს არასათანადო მოპყრობის ან კანონგარეშე სიკვდილით დასჯის სავარაუდო შემთხვევები;
- გამოძიებლები დამოუკიდებელი იყვნენ ეჭვმიტანილი დამნაშავეებისა და იმ ორგანოებისგან, რომელშიც ეჭვმიტანილი პირები მსახურობენ. ისინი უნდა იყვნენ კომპეტენტური და მიუკერძოებელი. შესაძლო დამნაშავეები უნდა გათავისუფლდნენ თანამდებობიდან, თუ ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ ზედამხედველობას უწევენ ან კონტროლს ახორციელებენ მოსარჩეელებზე, მონმეებსა და მათ ოჯახებზე, ისევე როგორც გამოძიების მწარმოებელ ორგანოებზე;
- საგამოძიებო ორგანოს უნდა გააჩნდეს ძალაუფლება და ვალდებულება მოიპოვოს მოკვლევისთვის საჭირო მთელი ინფორმაცია. მათ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება დაიბარონ საქმესთან დაკავშირებული თანამდებობის პირები, დაკითხონ ისინი და მოთხოვონ მათ შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა. მათ უნდა გააჩნდეთ აგრეთვე ყველა საჭირო საბიუჯეტო თუ ტექნიკური რესურსი ეფექტური გამოძიებისთვის;
- მსხვერპლი და მათი ოჯახები დაცულნი უნდა იყვნენ ძალადობისგან და უნდა მიუწვდებოდეთ ხელი გამოძიებასთან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციაზე;
- როდესაც დადგენილი საგამოძიებო პროცედურები არაადეკვატურია არაჯეროვანი ექსპერტიზის ან სავარაუდო მიკერძოების გამო ან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აშკარა მაგალითის ქონისა და ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომლის წევრები აირჩევიან მათი დამოუკიდებლობისა და კომპეტენტურობის გამო ან სხვა მსგავსი პროცედურა მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

---

15 Principles on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment (General Assembly Resolution 55/89, დანართი).

16 Principles on the Effective Prevention and Investigation of Extralegal, Arbitrary and Summary Executions, (Economic and Social Council resolution 1989/65, დანართი).

17 Principles on the Effective Prevention and Investigation of Extralegal, Arbitrary and Summary Executions, (Economic and Social Council resolution 1989/65, დანართი).

წამების გამოძიების პრინციპები შეტანილია აგრეთვე გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელოში“ („სტამბულის პროტოკოლი“).<sup>18</sup> სტამბოლის პროტოკოლი შეიცავს დამატებით სტანდარტებს სათანადო საგამოძიებო ორგანოს შერჩევასთან დაკავშირებით წამების საქმეებში:

„როდესაც არსებობს ეჭვი, რომ წამებაში ჩართულნი შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები, მათ შორის, როდესაც წამების გამოყენების ბრძანება შეიძლება გაცემული იყოს მინისტრების, მინისტრების თანაშემწეების, იმ მოხელეების მიერ, რომელთა საქმიანობის შესახებ მინისტრებმა იციან, ან სამინისტროების მაღალი რანგის მოხელეების, მაღალი რანგის სამხედრო მეთაურების მიერ ან როდესაც ადგილი შეიძლება ქონდეს ამ პირთა მხრიდან წამების მიმართ შემწყნარებლობას ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიება შეიძლება არ იყოს შესაძლებელი, თუ არ შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო კომისია. საგამოძიებო კომისია შეიძლება საჭირო გახდეს მაშინაც, თუ გამომძიებლების ექსპერტიზა ან მიუკერძოებლობა დგება ეჭვქვეშ.“<sup>19</sup>

სტამბულის პროტოკოლის 86-ე პარაგრაფი ჩამოთვლის იმ ფაქტორებს, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სპეციალური, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედებას:

„ა. თუ მსხვერპლი ბოლოს უვნებელი ნახეს პოლიციის მიერ დაკავებისას ან პატიმრობაში;

ბ. თუ მოქმედების სტილი გამოკვეთილად ახასიათებს სახელმწიფოს მიერ დაკვეთილ წამებას;

გ. როდესაც ხელისუფლებაში მყოფი ან სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ან დაებრკოლებინათ წამების გამოძიება;

დ. როდესაც საჯარო ინტერესს დააკმაყოფილებდა დამოუკიდებელი გამოძიება;

ე. როდესაც ჩვეულებრივი საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიება საეჭვოა ექსპერტიზის ან მიუკერძოებლობის ნაკლებობის ან სხვა მიზეზების გამო, მათ შორის საკითხის მნიშვნელობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აშკარა მოდელის არსებობის, საჩივრების ან ზემოთ დასახელებული სხვა არაადეკვატურობების ან არსებითი მიზეზების გამო.“

18 ხელმისაწვდომია <http://www.un.org/en/events/torturevictimsday/documents.shtml>

19 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Istanbul Protocol: Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Geneva, 2004, პარ. 85-87.

ამგვარი დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიები უნდა იცავდნენ საყოველთაოდ აღიარებულ პროცედურულ გარანტიებს, უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალით და მიუკერძოებელი სამართლებრივი კონსულტაციით, ხელი სრულად უნდა მიუწვდებოდეთ სახელმწიფო რესურსებზე და უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, მოიპოვონ სამართლისა და მედიცინის სფეროში საერთაშორისო ექსპერტების დახმარება.

გაეროს 1984 წლის კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ჩაატარონ სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი დასკვნისთვის, რომ წამების აქტი ჩადენილია მისი იურისდიქციის ფარგლებში (მუხლი 12). აღნიშნული კონვენციის შესრულებაზე მონიტორინგის პროცესში წამების საწინააღმდეგო კომიტეტი თავის ყოველწლიურ ანგარიშში გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე აღნიშნავდა, რომ 15-თვიანი შეფერხება წამების ბრალდებების გამოსაძიებლად არის არაგონივრულად ხანგრძლივი და არღვევს მე-12 მუხლით დადგენილ სწრაფი გამოძიების მოთხოვნას. კომიტეტი აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ სავარაუდო მსხვერპლის ოფიციალური განცხადება არ უნდა იყოს საჭირო სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიების დასაწყებად, მას შემდეგ რაც მსხვერპლის მხრიდან გაჟღერდება, რომ წამებას ქონდა ადგილი.<sup>20</sup>

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ პირველი მუხლი ადგენს ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულებას და აცხადებს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ევროპის საბჭოს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტი, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ერთმანეთთან აქტიური თანამშრომლობით აყალიბებენ მუდმივად განვითარებად სტანდარტებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება. ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობასა და დაუსჯელობასთან ბრძოლა“ ფარგლებში შემუშავებულ პუბლიკაციაში „არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები“<sup>21</sup> თავმოყრილია გამოძიების ეფექტურობის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშებზე დაყრდნობით.

20 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Istanbul Protocol: Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Geneva, 2004, პარ. 14.

21 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 8.



მნიშვნელოვანია, ასევე, ხაზი გაესვას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგად მიდგომას სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით - ჩაატაროს ეფექტური გამოძიება მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) და მე-13 მუხლის (უფლების ეფექტური შიდასამართლებრივი დაცვის საშუალება) ფარგლებში. სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, გამოძიების ვალდებულება არის საშუალების და არა შედეგის ვალდებულება.<sup>22</sup> სასამართლოს აზრით, „ხელისუფლების ორგანოებმა, შესაბამისად, უნდა გადადგან ეფექტური ნაბიჯები სათანადო მტკიცებულებების მოსაპოვებლად (თვითმხილველების ჩვენებების და სამედიცინო მტკიცებულებების ჩათვლით და თუ საჭირო იქნება ჩაატარონ აუტოპსია), რათა გამოძიებას ჰქონდეს უნარი დამნაშავეების დადგენისა და დასჯისა.“<sup>23</sup> ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით, სასამართლომ გაიმეორა საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, „გამოძიება ეფექტური უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ შეეძლოს რელევანტური ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადადგან გონივრული ნაბიჯები, მათი შესაძლებლობის ფარგლებში, რათა მოიპოვონ ყველა მტკიცებულება შემთხვევასთან დაკავშირებით. გამოძიების დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს ყველა რელევანტური ელემენტის ზედმიწევნით, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს [...]. თუმცა არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ ყველა ბრალდება დასრულდეს მსჯავრდების ან კონკრეტული სასჯელის დაკისრებით, ნებისმიერი ნაკლოვანება გამოძიებაში, რომელიც აკნინებს მის უნარს დაადგინოს საქმის გარემოებები ან პასუხისმგებელი პირები ვერ დააკმაყოფილებს ეფექტურობის მოთხოვნილ დონეს.“<sup>24</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, გამოძიების ეფექტურობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ზედმიწევნითობა;
- სისწრაფე;
- კომპეტენცია;
- მსხვერპლის მონაწილეობა საზოგადოებრივ კონტროლში.

22 იხ. მაგ: ავშარი თურქეთის წინააღმდეგ (Avşar v Turkey), No. 25657/94, 10.7.01, პარ. 404.

23 Philip Leach, Taking a Case to the European Court of Human Rights, Oxford University Press, 2011, გვ. 200.

24 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v Georgia), No. 25091/07, 26.04.2011, პარ. 242.

### 3. საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ ეფექტიანი ბამოძიების სტანდარტებთან

#### 1. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

გამოძიების ქვემდებარეობის საკითხი უშუალო კავშირშია ეფექტიანი გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტთან, როგორცაა გამოძიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „იმისთვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს, გამოძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები და ისინი, ვინც ახორციელებენ გამოძიებას დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ სამართლებრივად და პრაქტიკულად. ეს ნიშნავს არა მხოლოდ იერარქიული და ინსტიტუციონალური კავშირების ნაკლებობას იმ პირებთან, ვინც გარეულნი არიან მომხდარში, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც. ეფექტური გამოძიება [...] ემსახურება საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას ხელისუფლებისადმი სამართლის უზენაესობის შენარჩუნების საქმეში, რათა გამორიცხული იქნეს უკანონო ქმედებების მიმართ შემწყნარებლობის ან ფარული შეთანხმების შთაბეჭდილება და რათა იმ საქმეებში, რომლებიც ეხება სახელმწიფო ორგანოებს ან პირებს, უზრუნველყოფილი იქნეს მათი პასუხისმგებლობა.“<sup>25</sup>

საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ მსხვერპლის გარდაცვალების გარემოებები შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების ჩართულობაზე მიუთითებდა, ამისდა მიუხედავად საქმეს თავდაპირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები იძიებდნენ. ინსტიტუციონალური და მეტიც, იერარქიული კავშირები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმის გათვალისწინებით, რომ ერთი პირი მინისტრის ცოლის თანმხლები ჯგუფიდან, რომლის მიმართაც არსებობდა ეჭვები, სამინისტროში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიებაზე იყო პასუხისმგებელი, რაც აშკარა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას წარმოადგენდა. აღნიშნული ფაქტი, სხვა გარემოებებთან ერთად, საფუძველი გახდა დასკვნისთვის, რომ გამოძიებას აკლდა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

ინსტიტუციონალური კავშირების არსებობის გამო, გამოძიება არ ჩაითვალა დამოუკიდებლად მიქიაშვილის საქმეშიც.<sup>26</sup> ციხეში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით გამოძიებას ატარებდა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, მაშინ როდესაც იუსტიციის სამინისტრო იმავდროულად იყო ციხეების სისტემაზე პასუხისმგებელი უწყებაც.

25 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v Georgia), No. 25091/07, 26.04.2011, პარ. 243.

26 მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v Georgia), No. 18996/06, 09.10.2012, პარ. 87. იხ. აგრეთვე ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v Georgia), No.35403/06, 15.02.2011, პარ. 78.



დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნები ვრცელდება არა მხოლოდ გამომძიებლებზე, არამედ გამოძიებაში ჩართულ და მასთან დაკავშირებით გადანყვებილების მიმღებ ყველა პირზე, „მათ შორის არიან ის პირები, რომლებიც გამოძიების მხოლოდ ცალკეულ ეტაპებს აწარმოებენ, სასამართლო სამედიცინო ექიმები, ზედამხედველი პროკურორები და სპეციალური ორგანოები“.<sup>27</sup> მაგალითად, საქმეში „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ არ მიიჩნია სარწმუნოდ სამედიცინო შემონმების ორი დასკვნა და მიუთითა თავის დამკვიდრებულ პრაქტიკაზე: „არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის სამედიცინო შემონმება უნდა ჩატარდეს პოლიციის თანამშრომლების და სხვა სახელმწიფო მოხელეების თანდასწრების გარეშე, იმისთვის, რომ მიაღწიოს დამოუკიდებლობისა და ზედმინვენითობის დადგენილ სტანდარტს.“<sup>28</sup>

ინსტიტუციონალური და იერარქიული კავშირების არარსებობის გარდა, აუცილებელია პრაქტიკული დამოუკიდებლობაც, რაც უფრო რთული დასადგენია და საჭიროებს კონკრეტულ დანესებულებებსა და პირებს შორის არსებული კავშირების ანალიზს. დამოუკიდებლობის შეფასებისას, სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საქმის გამომძიებელი ორგანო, პროკურატურა ან სასამართლო ხომ არ იზიარებს ყოველგვარი დამატებითი გადამონმების გარეშე ეჭვიმიტანილი ორგანოების ან მოხელეების ვერსიას გამოსაძიებელ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად შეიძლება პრაქტიკული დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე მიუთითებდეს.<sup>29</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-14 ზოგად მოხსენებაში გაკეთებული მითითება: „დაუსჯელობასთან ბრძოლა უნდა დაიწყოს ადგილზევე, ანუ იმავე ორგანოში (პოლიცია ან სასჯელალსრულების სისტემა, თავდაცვის ორგანოები), რომელსაც ეხება საქმე. ძალზე ხშირად, კოლეგიური სულისკვეთება განაპირობებს ერთმანეთის გვერდში დგომის, დახმარების და თუნდაც კოლეგების უკანონო ქმედებების დაფარვის სურვილს, როდესაც გაისმის ბრალდება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.“<sup>30</sup> კოლეგიური სულისკვეთება თავისთავად გასათვალისწინებელია გამოძიებაზე პასუხისმგებელ და ბრალდებულ ორგანოს შორის შესაძლო პრაქტიკული კავშირების გამორკვევის საჭიროების შეფასებისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ თვალსაჩინო მიუკერძოებლობის მოთხოვნა განსხვავდება დამოუკიდებლო-

27 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 53.

28 დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ნო. 19634/07, 18/12/2012, პარ. 47.

29 მაგ. იხილეთ ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Gharibashvili v Georgia), No. 11830/03, 29.07.2008, პარ. 73, მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashevili v Georgia), No. 18996/06, 09.10.2012, პარ. 87, ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v Georgia), No. 35403/06, 15.02.2011, პარ. 78.

30 წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-14 ზოგადი ანგარიში წამების საწინააღმდეგო კომიტეტის საქმიანობის შესახებ, 21 სექტემბერი, 2004, თავი მე-2 „დაუსჯელობასთან ბრძოლა“, პარ. 26. ხელმისაწვდომია: <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-14.htm>

ბის მოთხოვნისგან. გამომძიებლის მიუკერძოებლობის დარღვევის მაგალითი გვხვდება საქმეში „იჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“.<sup>31</sup> იჰოვას მოწმეთა მიმართ მართლმადიდებლური დაჯგუფების არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინების პასუხად, გამომძიებელმა განაცხადა, რომ ამ საქმეში ის ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი მისი მართლმადიდებლური რწმენის გამო. შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ გამოერკვია სავარაუდო თავდამსხმელების პასუხისმგებლობის საკითხი, დაიწყო თავდასხმის მსხვერპლის დაკითხვა მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დარღვევასთან დაკავშირებით. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ისე ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მიუთითებს, რომ ინტერესთა კონფლიქტს აქვს ადგილი, როდესაც ერთი და იგივე პირები აწარმოებენ საქმეს პირის წინააღმდეგ და ამასთანავე იკვლევენ მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების მიუკერძოებლობას.<sup>32</sup>

#### i. სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების დეტალების განხილვისათვის, მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო რეგულაციების მიმოხილვა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად,<sup>33</sup> გამოძიება მიეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გვთავაზობს გამოძიების საკანონმდებლო ცნების დეფინიციას.<sup>34</sup> გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. ამავე კოდექსის მიხედვით,<sup>35</sup> გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>36</sup> ამომწურავად ჩამოთვლის იმ ორგანოებსა და მათ გამომძიებლებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აწარმოონ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება, ესენია:

31 იჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v Georgia), No. 71156/01, 03.05.2007, პარ. 117.

32 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 56.

33 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 3, პუნქ. 1, ქვეპუნქ. „რ“.

34 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 10.

35 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 37.

36 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 34, ნაწ. 1.

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლები,
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები,
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამომძიებლები,
4. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გამომძიებლები,
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო დანაყოფების გამომძიებლები.

განსხვავებით 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს გამოძიების უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის წესებს, კოდექსი მხოლოდ მიუთითებს<sup>37</sup>, რომ საგამომძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მოცემული კოდექსი<sup>38</sup> კი – ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრას, საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებას მიაკუთვნებს.

გამომძიების უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის საკითხს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო და ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.“

ზემოაღნიშნული ბრძანებისა და საქართველო სხვა კანონმდებლობის მიხედვით, დეტალურად განვიხილავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამომძიებო უფლებამოსილებებსა და კომპეტენციას. ასევე, გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის თაობაზე საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილებას და ზემოაღნიშნულ უწყებათა გენერალური ინსპექციების სამსახურებრივი შემოწმებისა და გამოძიების წარმოების უფლებამოსილებებს.

#### *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, სამინისტროს საქმიანობის სფეროა: სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მიზნებისა და მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი, აგრეთვე სახელმ-

37 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 35.

38 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 36.

ნიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა. ამავე დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოვლენა, გამოძიება, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ძებნისა და დაკავების, ამოუცნობი გვამების დადგენის უზრუნველყოფა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამონვევების ანალიზი და დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება.

ზოგადი წესის თანახმად, რომელსაც 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართის პირველი პუნქტი ადგენს, სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ანუ, სისხლის სამართლის ყველა საქმის გამომძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსხვავებულ წესს ადგენს მოცემული ბრძანება.

ხსენებული ბრძანების დანართის მე-4 პუნქტის თანახმად, „შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე-335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით<sup>39</sup> გათვალისწინებული დანაშაულები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ (გარდა ამ დანართის მე-2 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)“. მოცემული დანართის მე-2 და მე-7 პუნქტები კი საქართველოს პროკურატურის გამომძიებლის ქვემდებარეობას მიაკუთვნებს საქმეებს: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური ნოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის დანაშაულთა თაობაზე. ამდენად, თუ ზემოაღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოვლენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საქმის გამომძიებას აწარმოებს საქართველოს პროკურატურა. ამავდროულად, მოცემული დანართის მე-7 პუნქტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლის უფლებამოსილებას მიაკუთვნებს იმავე სამინისტროს სისტემის მოსამსახურის (გარდა პროკურატურის მუშაკისა) მიერ ჩადენილ სამოხელეო დანაშაულთა გამომძიებას, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ის გამოვლენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

39 სამოხელეო დანაშაული: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უკანონო გათავისუფლება; განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება; სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა; ქრთამის აღება; ქრთამის მიცემა; ზეგავლენით ვაჭრობა; კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება; სამსახურებრივი სიყალბე; სამსახურებრივი გულგრილობა.

2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 383-ე და 403-ე მუხლებით<sup>40</sup> გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ჩადენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მიერ, დანაშაულს იძიებს ამავე უწყების საგამოძიებო დანაყოფი. ზოგადად, აღნიშნულ დანაშაულთა გამოძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება.

#### *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

2013 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №389 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება: სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა („შ“ ქვეპუნქტი); კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სრული მოცულობით წინასწარი გამოძიების ჩატარება. იმავე დადგენილების მე-4 მუხლის 3<sup>12</sup> და 3<sup>13</sup> ქვეპუნქტების შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას წარმოადგენს: სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება; ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა.

2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამოძიებლები იძიებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურის (გარდა პროკურატურის მუშაკისა) მიერ

40 უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა; უფროსისადმი წინააღმდეგობა ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა; უფროსის მიმართ ძალადობა; ურთიერთდაქვემდებარებულ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა; სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა; სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება; დეზერტირობა; სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით; სამხედრო-სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით; დასაღუპად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვება; საბრძოლო მორიგეობის (საბრძოლო სამსახურის) წესის დარღვევა; სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევა; საყარაულო სამსახურის წესის დარღვევა; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს სამსახურის შესრულების წესის დარღვევა; შინაგანი სამსახურის წესდებისა და გარნიზონში პატრულირების წესის დარღვევა; სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება; სამხედრო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება; სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევა; მანქანის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა; საფრენი აპარატის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა; ხომალდის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა; გარშემომყოფისათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან მოპყრობის წესის დარღვევა.



ჩადენილ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

#### *საქართველოს პროკურატურა*

„საქართველოს პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პროკურატურა (შემდგომში – პროკურატურა) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეყნეუბო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.

ამავე კანონის მე-3 მუხლი პროკურატურის ამოცანებს მიაკუთვნებს: სისხლისსამართლებრივ დევნას, საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების სტადიაზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებას, თავისუფლება აღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმებას და საპროცესო მოვალეობების განხორციელებას დაკავების ადგილებსა და პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს.

„საქართველოს პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, პროკურატურა დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას და შეუძლია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.

2013 წლის 10 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 ბრძანების მე-3 მუხლი განსაზღვრავს მთავარი პროკურატურის საქმიანობის სფეროს: სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით გამოძიების ჩატარება.

პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 335-ე, 337-ე, 342-ე (გარდა 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართის მე-4 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 194-ე და 194<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართის მე-4 პუნქტი სამოხელეო დანაშაულის გამოძიებას მიაკუთვნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებას, თუ ის გამოვლენილია შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის ჩადენილია იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიერ (გარდა პროკურატურის მუშაკისა), გამოძიებას აწარმოებს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თუ

დანაშაული ჩადენილია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

#### *საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო*

2009 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №8 დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს უფლებამოსილებებს განეკუთვნება: თავისი კომპეტენციის ფარგლებში პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დანაშაულის, აგრეთვე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მზადების სტადიაში აცილება, მომხდარი დანაშაულის აღკვეთა და გამოვლენა; სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან მათი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთქმედება იმ დანაშაულთა გამოვლენისათვის, რომლებიც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებამდე; კანონით დადგენილი წესით ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის განხორციელება.

2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანების დანართის მე-8 პუნქტის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342<sup>1</sup>, 378-ე, 378<sup>1</sup>, 378<sup>2</sup>, 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამომძიებლის წარმოების უფლებამოსილება აქვს ამ მიზნით შექმნილ სტრუქტურულ ქვედანაყოფს – საგამოძიებო დეპარტამენტს.

2009 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №8 დადგენილების მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საგამოძიებო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342<sup>1</sup>, 378-ე, 378<sup>1</sup>, 378<sup>2</sup>, 379-ე, 380-ე, 381-ე (თავისუფლების



აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების, აგრეთვე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულთა გამოძიება.

2009 წლის 16 აპრილის საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის (და იურიდიული დახმარების საკითხთა) მინისტრის „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ №152 ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგამოძიებო დეპარტამენტი არის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342<sup>1</sup>, 378-ე, 378<sup>2</sup>-ე, 378<sup>3</sup>-ე, 379-ე, 380-ე 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებული, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულთა წინასწარ გამოძიებას, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზების შესწავლას, ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

#### *გამოძიების საპროცესო ზედამხედველობა*

„საქართველოს პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და მის უზრუნველსაყოფად საპროცესო ზედამხედველობას, გამოძიების სტადიაზე. ამდენად, ყველა საგამოძიებო ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების საპროცესო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პროკურატურა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი, რომელიც პროკურატურის კომპეტენციას განსაზღვრავს, ადგენს, რომ პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

2013 წლის 10 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის შემდეგი დანაყოფები ახორციელებენ საპროცესო ზედამხედველობას სხვადასხვა უწყებებში მიმდინარე გამოძიებებზე:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი;
2. შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი;
3. თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი;
4. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და დაზვერვის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიული-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წერილობითი მითითება მისცეს გამოძიების ორგანოებს. გამოძიების საკითხებზე პროკურორის მითითების შესრულება სავალდებულოა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, პროკურორი უფლებამოსილია: საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს; საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით; გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს.

#### *ბენერალური ინსპექციათა უფლებამოსილება*

ეფექტიანი გამოძიების საკითხზე მსჯელობისას, საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვის დროს მნიშვნელოვანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციების უფლებამოსილების განხილვა, მათ მიერ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების წარმოების კუთხით.

#### *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბენერალური ინსპექცია*

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №337 დადგენილების მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ძირითადი ამოცანებია:

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება; კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება; მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სამინისტროს სისტემაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა; სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში წარმოებული ოპერატიულ-ანალიზური და ოპერატიულ-სამძებრო, აგრეთვე კონტრდაზვერვითი საქმიანობის შემოწმება; სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი, მათ მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება; სამინისტროს სისტემაში ფინანსური, მათ შორის, ოპერატიული ხარჯების შემოწმების ჩატარება და სამინისტროს საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებიდან ირკვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სხვა საკითხებთან ერთად, უფლებამოსილია, ერთი მხრივ, აწარმოოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება და მეორე მხრივ, ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება დისციპლინური ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

„საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №38 ბრძანების დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი.

შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებებიდან ირკვევა, რომ გამოძიების წარმოების უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება წარმოადგენს საიდუმლო გრიფის მქონე დოკუმენტს,<sup>41</sup> მაშინ როცა, დებულების იმ ნაწილისთვის, რომელიც სს საქმეთა გამოძიე-

41 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 06 თებერვლის წერილი.

ბას შეეხება, სახელმწიფო საიდუმლოების მინიჭების კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია, დაამტკიცოს გენერალური ინსპექციის, როგორც სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულება.<sup>42</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) დებულება, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, რადგან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტია, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი შესაძლებლად მიიჩნევს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობას მხოლოდ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. თუმცა, მოცემული კანონი ამასთანავე აკეთებს დათქმას: „დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას.“

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო საიდუმლოება“ არის ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად

42 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 13 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №337 დადგენილების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი). ამავე დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს, ხოლო „ფ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებებს. ამასთან, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 13-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას<sup>43</sup>. ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრება ინფორმაციის დასაიდუმლოების პრინციპები, კერძოდ, ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება კანონიერების, დასაბუთებულობის და დროულობის პრინციპების შესაბამისად. ამასთან, კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება საიდუმლოებას ექვემდებარებოდეს და მათ შორის, გამოძიება, მისი წარმოების წესები ნახსენები არ არის.<sup>44</sup> ამასთან, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების შესახებ ცნობები შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოებას.<sup>45</sup>

გარდა ამისა, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი შეიცავს იმ ცნობათა ჩამონათვალს, რომლებიც არ მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად, კერძოდ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნები-

43 გარდა ამისა, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ინფორმაციას, რომლისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი „საიდუმლო“, მიეკუთვნება მონაცემი, რომლის გავრცელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, მართლწესრიგის, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს ან/და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ინტერესებს.

44 „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი სახის ცნობები:

დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:

ა) სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ; იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;

ბ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა დაცვისა და ადმინისტრაციულ შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმის შესახებ;

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის შესახებ;

დ) სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

ე) საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელი საფრთხეებისა და მათი თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

ვ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობის, ასევე სამინისტროების და სხვა უწყებების მიერ განსახორციელებელი გეგმებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელთა წინასწარი გამჟღავნება ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

45 „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნორმატიული აქტები, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, გარდა ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის აქტებისა, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებს მათ შიგა საქმიანობას თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით.



---

სმიერი ცნობა, რომლითაც შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯან-მრთელობასა და უსაფრთხოებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) დებულებისათვის სახელმწიფო საიდუმლოების მინიჭების დასაბუთება, ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ საიდუმლო არ შეიძლება იყოს დოკუმენტი, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაძლებელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის შიდა საქმიანობის მომწესრიგებელი აქტები, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით იყოს საიდუმლო დოკუმენტი, მაგრამ არა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მწარმოებელი ერთ-ერთი ორგანოს საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი. თუკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია გვევლინება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ორგანოდ, რომელიც გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის სრულად გასაიდუმლოება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი ნორმის განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნას.

მიზანშეწონილია, სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნა (განსაიდუმლოება) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების იმ ნაწილისთვის, რომელიც არეგულირებს გამოძიების წარმოების უფლებამოსილებას, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების წარმოების წესებსა და გენერალური ინსპექციის ამოცანებს.

#### *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება, როცა სამოხელეო დანაშაული ჩადენილია ამავე სამინისტროს სისტემის (გარდა პროკურატურის) მოსამსახურის მიერ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ასევე უფლებამოსილია, აწარმოოს სამსახურებრივი შემოწმება. კერძოდ, 2013 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №389 დადგენილების 22 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გენერალური ინსპექციის ძირითადი ამოცანებია; კანონმდებლობით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების ჩატარება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა

ჩადენის შემთხვევაში<sup>46</sup>; სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი; სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება; სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ მოსამსახურეთა მიერ, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა.

2008 წლის 17 მარტის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ №63 ბრძანების მე-7 მუხლით განისაზღვრა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანები და ფუნქციები, მათ შორის, იმავე მუხლის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა; კანონმდებლობით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების ჩატარება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში.

ამავდროულად, მოცემული ბრძანების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იუ-

46 ძველი რედაქციით: 2008 წლის 7 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტის „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №541 ბრძანებულების მე-17 მუხლის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ძირითადი ამოცანებს განეკუთვნებოდა: სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი; კანონმდებლობით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების ჩატარება პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის, პროკურატურის მრჩეველის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-335-ე, 337-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში; [...].



რიდიული პირების მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, დისციპლინური გადაცდომისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტებზე. ხოლო, ამავე პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოებული სამსახურებრივი შემონმების შედეგად სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, გარდა ამ დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მოპოვებული მასალები, მინისტრთან შეთანხმებით, დადგენილი წესით, გადაუგზავნოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

#### *საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია*

საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია, პროკურატურის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას, ასევე ატარებს სამსახურებრივ შემონმებას – სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე. კერძოდ, 2013 წლის 10 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ამოცანაა კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოძიების ჩატარება პროკურატურის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში; პროკურატურის მუშაკთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა; აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება; პროკურატურის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემონმების ჩატარება, შემონმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მთავარი პროკურორისთვის წარდგენა; იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საპროკურორო ზედამხედველობა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება; იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

2013 წლის 13 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ №44 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით კი, საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია: პროკურატურის ორგანოებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, პროკურატურის მუშაკთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო

ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება; პროკურატურის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემონმების ჩატარება, შემონმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მთავარი პროკურორისთვის წარდგენა; კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოძიების ჩატარება პროკურატურის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში; იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება; იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

მოცემული ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად, გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია: ჩაატაროს სამსახურებრივი შემონმება პროკურატურის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, სამსახურებრივი ეთიკის წესების დარღვევის, პროკურატურის მუშაკისთვის შეუფერებელი საქციელის, დისციპლინური გადაცდომისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტებზე; პროკურატურის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა; მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია*

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ატარებს სამსახურებრივ შემონმებას სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციას არ აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება. აღნიშნულ სამინისტროში გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილია სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

2009 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №8 დადგენილების მე-14 მუხლი სამინისტროს გენერალური ინ-

სპექციის ძირითად ამოცანებს მიაკუთვნებს: სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების კონტროლს; სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივ კონტროლს, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენას, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლას და შესაბამის რეაგირებას; სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემონმების განხორციელებას, შემონმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენას და მინისტრისათვის წარდგენას; პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაზე კონტროლს.

ii. **სამართალდაცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის მიხედვით**

ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, გამოძიების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ ჩატარებაა, რაც გულისხმობს მის როგორც სტრუქტურულ, ასევე, პიროვნულ დამოუკიდებლობას. საკანონმდებლო ნორმათა ზემოთ მოყვანილი დეტალური აღწერა ცხადყოფს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია დადგეს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებულობის საკითხი.

როდესაც სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე სავარაუდოდ ჩადენილია დანაშაული და მას იძიებს იმავე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ჩნდება ლეგიტიმური კითხვები. ის არგუმენტი, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი (დეპარტამენტი) არის ცალკე ერთეული და სხვა დეპარტამენტის თანამშრომლის შესაძლო დანაშაულის ფაქტზე აწარმოებს გამოძიებას, ნაკლებად რელევანტურია, რადგან საგამოძიებო დეპარტამენტი იმავე სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დანაშაულს სავარაუდოდ, საქართველოს პროკურატურის ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი სჩადის. ზემოთ განხილული საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, აღნიშნულ საქმეთა გამოძიებაც იმავე უწყებების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცინცაბადის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „იმ შემთხვევაშიც, თუ გვერდით გადავდებთ ვარაუდებს პატიმრის განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით, საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მოკვლევის ერთ-ერთი შესაძლო მიმართულება, რომელიც საგულდაგულო და მიუკერძოებელ ანალიზს მოითხოვდა, იყო ის, თუ რამდენად შეიძლებოდა პატიმრის სიკვდილი გამოენჯია ციხის ხელმძღვანელობის დაუდევრობას. დამატებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა ძირითადი საგამოძიებო ქმედება აწარმოა იმავე

სამინისტროს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფმა დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტმა, ხოლო, პროკურორი ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის წარმოების გარეშე მიემხრო მითითებული დეპარტამენტის დასკვნებს და მათ საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა [...]. აღნიშნული ინსტიტუციონალური კავშირი გამომძიებლებსა და ინციდენტში მხილებულ პირთა შორის, სასამართლოს მოსაზრებით, ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების დამოუკიდებლობას.<sup>47</sup>

ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა დგება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების შემთხვევაშიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ №34 ბრძანების დაწარმის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ბრძანების მიღებამდე მოქმედი 2010 წლის 29 სექტემბრის №178 ბრძანება, ასევე, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიაკუთვნებდა პოლიციელის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულის ფაქტის გამოძიებას. თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე ადასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, 2013 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმოებაში მყოფი პოლიციელ(ებ)ის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით“, მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, საგამოძიებო და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით და ორ სისხლის სამართლის საქმეზე (მოქალაქე მ.მ–ს გარდაცვალებისა და მოქალაქე რ.ი.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი) მიმდინარე გამოძიებების საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის გადაცემა მოითხოვა.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2013 წლის 4 ოქტომბრის წერილი აღწერს დამკვიდრებულ პრაქტიკას, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებასთან მიმართებით. წერილის მიხედვით,

47 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“, ნო. 35403/06, პარ. 78.



„სამინისტროს გენერალური ინსპექცია დამოუკიდებლად არ იწყებს გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით, არამედ საქართველოს მთავარ პროკურატურაში იგზავნება დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაცია (განცხადება, საჩივარი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული მონაცემები). გამოძიების დაწყებას უზრუნველყოფს პროკურატურა, რის შემდეგაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ქვემდებარეობიდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა გენერალურ ინსპექციას გამოსაძიებლად.“<sup>48</sup>

48 2013 წლის 4 ოქტომბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მონიტორინგის, ანალიზისა და კოორდინაციის მთავარ სამმართველოში ფუნქციონირებს საგამოძიებო სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს გენერალური ინსპექციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით გამოძიებას და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებას. გენერალური ინსპექციის მიერ წინასწარი გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 28 მარტის №023 ბრძანებით დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულებით და 2005 წლის 14 ივლისის №016 ბრძანებით შეტანილი ცვლილებით (გრიფით საიდუმლო). დღეის მდგომარეობით კი მოქმედებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 აპრილის №066 ბრძანებით დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება. ამასთან, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანაშაულის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 25 დეკემბრის №1016 ბრძანებით დამტკიცებული №4<sup>1</sup> დანართით განსაზღვრულია გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) მონიტორინგის, ანალიზისა და კოორდინაციის მთავარ სამმართველოში გამოძიების წარმოებაზე უფლებამოსილი პირი – განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი. ამასთან, „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №38 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი.

გენერალური ინსპექციის გამოძიებლები სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას არ შემოიფარგლებიან მხოლოდ საპროცესო მოქმედებების ჩატარებით. აღნიშნულთან ერთად, აქტიურად არიან ჩართულნი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ მიერ გამოძიებული საქმეების ხარისხს. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის გამოცევიდან განიშნულნი საქმეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცემა სამინისტროს სარეჟიმო და გასაიდუმლოებულ ობიექტებზე ან სპეციალურ კონტიგენტთან მუშაობის შედეგად მოპოვების საჭიროება.

რაც შეეხება სისხლის სამართლის №084130713801 საქმეს ადიგენის რაიონული სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემის ფაქტზე და სისხლის სამართლის №001060713003 საქმეს მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, აღნიშნული საქმეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცა გამოსაძიებლად მთავარი პროკურორის მოადგილის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის №001060713003 საქმე პროკურორის გადაწყვეტილებით გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის №2004044 წერილი.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>49</sup> აძლევს უფლებამოსილებას საქართველოს მთავარ პროკურორს, სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას, აგრეთვე სასჯელალსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიებას ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტს, ამოიღოს იმავე უწყებების საგამოძიებო ქვემდებარეობიდან და გამოძიებისათვის გადასცეს საქართველოს პროკურატურას, რაც წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგებისა და წინამდებარე ანგარიშში განხილულ საქმეთა მიხედვით, პრაქტიკაში ნაკლებად ან/და სახეშეცვლილი ფორმით გამოიყენება. კერძოდ, რამდენიმე შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურორის დადგენილებით, სს საქმე გამოძიებისათვის გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მაშინ როცა, დანაშაული შესაძლოა შს სამინისტროს თანამშრომლების მიერ ყოფილიყო ჩადენილი.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა რამდენიმე შემთხვევა,<sup>50</sup> როდესაც გამოძიება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მომხდარ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა ეწარმოებინა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევებში, შესაძლოა, ეჭვქვეშ დამდგარიყო მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობაც, იმდენად, რამდენადაც პატიმრობაში მყოფი პირები პროკურატურის წარმომადგენლების თუ მთავარი პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და ძალადობაზე საუბრობდნენ.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დაფიქსირდა რამდენიმე განცხადება, სადაც განმცხადებლები პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირთა მიერ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებდნენ. ზემოთ განხილული შემთხვევების მსგავსად, ამ საქმეებზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყების შემთხვევაშიც, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება გამოძიების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის საკითხი.

სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსგავსი შემთხვევების იმგვარ რეგულირებას, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ჩატარებული გამოძიების ეფექტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

49 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს.

50 სისხლის სამართლის №073071013001 საქმე, სასჯელალსრულების №2 დაწესებულებაში გოგა ძველიას გარდაცვალების ფაქტზე.

2013 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დაიწყო 7 ოქტომბერს სასჯელალსრულების №2 დაწესებულებაში არასრულწლოვანი გოგა ძველიას გარდაცვალების ფაქტის შესწავლა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ სასჯელალსრულების დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერეს საკანი, სადაც ნაპოვნი იქნა გარდაცვლილის ცხედარი.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მონოდებული ინფორმაციით, 2013 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე №073071013001, ბრალდებულ გოგა ძველიას თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით).<sup>51</sup> სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა სუიციდის ფაქტს.<sup>52</sup>

ცინცაბაძის საქმეზე გამოტანილ გადანყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები მეტად გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს და მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთა ქმედებები, არამედ საქმის სხვა გარემოებებიც. პატიმრობაში მყოფი პირები მოწყვლადნი არიან, ხოლო ხელისუფლებას მათი დაცვა აკისრია [...].

იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი მოვლენები მთლიანად, ან მნიშვნელოვანწილად განეკუთვნება ხელისუფლების ექსკლუზიური ცოდნის სფეროს, მათ შორის მოვლენები, რომელიც ხელისუფლების კონტროლს ქვეშ მყოფი პირის პატიმრობას უკავშირდება, პირის პატიმრობაში ყოფნისას მიყენებულ დაზიანებებთან ან სიკვდილთან დაკავშირებით ფაქტის მყარი პრეზუმფცია წარმოიშობა. რასაკვირველია, მტკიცების ტვირთი ხელისუფლებას ეკისრება, რათა მან დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახნა-განმარტება უზრუნველყოს (იხ. *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, § 100, და *Ertak v. Turkey*, no. 20764/92, § 32, ECHR 2000-V).

სახელმწიფოთა ვალდებულება, დაიცვან კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი სიცოცხლის უფლება, მკვლელობის შემთხვევაში, ეფექტური ოფიციალური გამოძიების წარმოების ვალდებულებას გულისხმობს. ამგვარი გამოძიების წარმოების მოვალეობა შეეხება მკვლელობებსა და გაურკვეველ ვითარებაში სიკვდილის ნებისმიერ შემთხვევას, განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის დამნაშავე - კერძო პირი, სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, თუ უცნობი პიროვნება (იხ. *Menson v. the United Kingdom* (dec.), no. 47916/99, ECHR 2003-V, and *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 and

51 იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ოქტომბრის წერილი.

52 ციხეში გარდაცვლილი არასრულწლოვანის ოჯახის პოზიცია და სოზარ სუბარის პასუხი, TS Press.ge, 13.10.2013, <http://www.tspress.ge/ka/site/articles/14836/>

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით,<sup>54</sup> დამოუკიდებელი გამოძიების წარმოების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია გამოძიება აწარმოოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ. საქართველო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების მიმართ, მისი ინსტიტუციური ქვემდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის დარჩება ლეგიტიმური კითხვები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსხვავებით გ.ძველაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიებისა, სასჯელაღსრულების №14 დანესებულებაში, ცემის შედეგად გარდაცვლილ მსჯავრდებულ ლევან კორტავას შემთხვევის გამოძიება უმოკლეს დროში გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას,<sup>55</sup> რაც უდავოდ სამინისტროს მხრიდან მართებული გადაწყვეტილება იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საკანონმდებლო რეგულაციები, ისე ამ ნორმათა პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროცესი, არ უნდა ტოვებდეს მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დისკრეციაში, არამედ, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, გამოძიებას უნდა აწარმოებდეს ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო.

*მამუკა ივანიძის საქმე* <sup>56</sup>

2013 წლის 10 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადააგზავნა ბრალდებულების – მამუკა ივანიძისა და ზაზა მახარობლიძის ახსნა-განმარტებების ასლები, სადაც დასახელებული პირები თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლაციის შენობაში, დაკითხვისას სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურის თანამშრომლების მიერ, მათ მიმართ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაზე მიუთითებდნენ. ამ მიმართვის საპასუხოდ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 29 ივლისს სახალხო დამცველის აპარატს წერილობით აცნობა, რომ მთავარი პროკურატურის საპროკურატურო საქმიანო-

53 ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, No. 35403/06, პარ. 72–74.

54 „[...] ყველა ძირითადი საგამოძიებო ქმედება აწარმოა იმავე სამინისტროს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფმა დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტმა, ხოლო, პროკურორი ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის წარმოების გარეშე მიემხრო მითითებული დეპარტამენტის დასკვნებს და მათ საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა[...]. აღნიშნული ინსტიტუციონალური კავშირი გამოძიებულებსა და ინციდენტში მხილებულ პირთა შორის, სასამართლოს მოსაზრებით, ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების დამოუკიდებლობას.“ ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, No. 35403/06, პარ. 78.

55 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 23 მაისის განცხადებით, ლ. კორტავას საქმის გამოძიება დაიწყო სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა, თუმცა, მოგვიანებით, საქმის გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცა. იხ. ლევან კორტავას საქმე გახსნილია, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 2 აგვისტოს განცხადება.

56 ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“ ბრალდებული ერთ-ერთი პირი.

ბის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ შეისწავლა ბრალდებულთა ახსნა-განმარტებები და მათ მიმართ ზენოლის განხორციელების ფაქტი არ დადასტურდა. იმავე წერილში აღნიშნული იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო გადაცდომების შესწავლის მიზნით, მასალები გადაგზავნილი იქნა საქართველოს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

2013 წლის 11 ივლისს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეომასალა საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან, სასჯელალსრულების №8 დაწესებულებაში ყოფნის დროს, ბრალდებულ მამუკა ივანიადის მიმართ, შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 22 ივლისს გაავრცელა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში ჩატარდა გამოძიება, საქართველოს სს კოდექსის 335-ე მუხლით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე. თუმცა, სპეციალურმა საგამოძიებო ჯგუფმა მამუკა ივანიადის მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტი ვერ დაადგინა. აღნიშნულის დასადასტურებლად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაასაჯაროვა ივანიადის ჩვენების მიცემის პროცესის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი.<sup>57</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის ზემოაღნიშნული განცხადების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის<sup>58</sup> მთავარი პროკურატურის მიერ გამოგზავნილ 2013 წლის 14 სექტემბრისა და 2014 წლის 21 მარტის<sup>59</sup> წერილებში აღნიშნულია, რომ მ.ივანიადის განცხადებასთან დაკავშირებით გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, რის გამოც, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის გამოძიების სრული მასალები ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

არსებობს ლეგიტიმური კითხვები მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ მ.ივანიადის ჩვენების ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით, (იყო თუ არა მ.ივანიადე ინფორმირებული მისი ახსნა-განმარტების ჩანერის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა მისი თანხმობა, ვიდეო ჩანაწერის გაკეთების თარიღი, დრო, ადგილი და სხვა), რასაც მთავარი პროკურატურის 2013 წლის 24 ივლისის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენების მიცე-

57 იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის განცხადება, [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=164](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=164)

58 2013 29 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა მ.ივანიადის 11 ივლისის განცხადების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების მასალების სრული ასლები, რაც არ მიუღია, ვინაიდან საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 14 სექტემბრის წერილით, სს საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

59 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 21 მარტის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მ.ივანიადის მიმართ განხორციელებულ იძულების ფაქტზე ჩატარებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება. ამჟამად, საქმეზე გამოძიება გრძელდება.

მა კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა, დამაჯერებელ პასუხს ვერ სცემს.<sup>60</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, გამოძიების უფლებამოსილება საქართველოს მთავარ პროკურატურას გააჩნია, თუმცა, ჩნდება ლეგიტიმური კითხვები, ამ გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხთან დაკავშირებით.

### *ივანე მერაბიშვილის საქმე*

2013 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იგი ღამის საათებში, კანონის მოთხოვნათა დარღვევით გაიყვანეს სასჯელალსრულების დაწესებულების ტერიტორიიდან და საქართველოს მთავარმა პროკურორმა და პროკურატურის თანამშრომლებმა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა იმავე დღეს გააკეთა საჯარო განცხადება, რომ საჭირო იყო ივანე მერაბიშვილის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყება და ეფექტიანად ჩატარება,<sup>61</sup> თუმცა, აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიება არ ჩაუტარებია.<sup>62</sup>

2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „2013 წლის 20 დეკემბერს, სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის სოზარ სუბარის დავალებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ადვოკატ დავით ხაჟალიას განცხადების საფუძველზე, ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ სასჯელალსრულების დეპარტამენტის №9 დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.“<sup>63</sup> 2014 წლის 12 იანვარს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ

60 იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 24 ივლისის განცხადება, [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=165](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=165)

61 2013 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიმ წერილობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს და მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, კერძოდ, დაიწყო თუ არა ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებაში მითითებულ ფაქტებზე გამოძიება. მოცემულ შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, აპარატი ითხოვდა, ეცნობებინათ, გამოძიების მწარმოებელი ორგანო, სისხლის სამართლის საქმის ნომერი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი/მუხლები, რომლითაც მიმდინარეობდა გამოძიება, ასევე, დეტალური ინფორმაცია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ იყო დაწყებული გამოძიება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ითხოვდა, ეცნობებინათ აღნიშნულის მიზეზი.

62 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 17 დეკემბრის განცხადება და საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 3 იანვრის წერილი.

63 იხ. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 23 დეკემბრის განცხადება, <http://mcla.gov.ge/?action=news&lang=-geo&npid=1751>



გაავრცელა ინფორმაცია, რომ დასრულდა ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის ადვოკატის, დავით ხაჭალიას განცხადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება და ივანე მერაბიშვილის განცხადებასა და ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა.<sup>64</sup>

მართალია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანების დანართის მე-8 პუნქტის თანახმად, სასჯელალსრულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულთა გამოძიება განეკუთვნება საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამოძიებულთა ქვემდებარეობას, გამოძიების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმოების პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა ერთდროულად უფლებამოსილი და ვალდებული იყო დაენყო და ეწარმოებინა გამოძიება ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაციის მიღებისთანავე. თუ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არ გამოვლინდებოდა დანაშაულის ნიშნები ან არ დადასტურდებოდა დანაშაულის ჩადენის ფაქტი, შესაძლებელი იყო გამოძიების შეწყვეტა.

გარდა ამისა, 2009 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის „საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ №8 დადგენილების მე-14 მუხლის მიხედვით, სამინისტროს გენერალური ინსპექცია მხოლოდ სამინისტროს სისტემაში შემავალი საკითხების კანონიერების და კანონმდებლობის შესაბამისობას სწავლობს<sup>65</sup> და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მიერ ჩადენილი შეს-

64 „სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, გენერალური ინსპექციის მოთხოვნის საფუძველზე, ამოღებული იქნა 377 GB მოცულობის ვიდეომასალა, რომელიც სასჯელალსრულების დეპარტამენტის №9 დაწესებულებასა და სასჯელალსრულების დეპარტამენტს შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა თვრამეტმა სათვალთვალო კამერამ 2013 წლის 13 დეკემბრის 12:00 საათიდან 2013 წლის 14 დეკემბრის 12:00 საათამდე ჩაინერა. ჩანაწერის დათვლიერებისას საქმისათვის საინტერესო ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება სასჯელალსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელალსრულების დეპარტამენტში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს, 2013 წლის 17 დეკემბერს, ივანე მერაბიშვილის მიერ განცხადების გაკეთების მომენტისთვის, 13-14 დეკემბრის ჩანაწერი აღარ არსებობდა, ვინაიდან შენობებში არსებული ვიდეო-სათვალთვალო ტექნიკური საშუალებები, 24 საათის გასვლის შემდეგ, ახალი ინფორმაციის ჩანერის გამო, ძველ ჩანაწერებს ავტომატურად შლის. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოიკითხნენ სასჯელალსრულების №9 დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ 2013 წლის 14 დეკემბერს ღამის საათებში სასჯელალსრულების №9 დაწესებულების ტერიტორიის დატოვების ფაქტი. შემომდა სასჯელალსრულების №9 დაწესებულებაში არსებული ყურნალებიც, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე ავტომატურად შესვლა-გასვლასა და ბრალდებულ-მსჯავრდებულთა მოძრაობას აღრიცხავენ. ამდენად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, ივანე მერაბიშვილის განცხადებაში და ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა.“ იხ. სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს 2013 წლის 23 დეკემბრის განცხადება, <http://mcla.gov.ge/?action=news&lang=geo&nid=1788>

65 სამინისტროს გენერალური ინსპექციის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება: სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი; სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება; სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების განხორციელება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა.

ადლო დანაშაულებრივი ქმედებები, რაზეც ი.მერაბიშვილის განცხადებაში იყო საუბარი, მისი შესწავლის კომპეტენცია ვერ იქნებოდა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებაც, რომ სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ადვოკატ დავით ხაჭალიას განცხადების საფუძველზე, ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება<sup>66</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამინისტროს გენერალური ინსპექციის შესწავლის შედეგების მიხედვით, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების მომენტისთვის არ არსებობდა სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობების სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და დათვალთვალებული იქნა სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობას შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებული თვრამეტი სათვალთვალო კამერის მონაცემები, სადაც, სამინისტროს განცხადებით, არ იქნა აღმოჩენილი საქმისთვის საინტერესო ფაქტობრივი გარემოებები.<sup>67</sup>

ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულება მოცემულ საქმეში სწორედ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განთავსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეიძლება ყოფილიყო. თუმცა, სამინისტრომ ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხები შეკითხვებს, თუ რა ვადით ინახება სასჯელაღსრულების სისტემაში, თუ ცალკეულ შენობებში განთავსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები; ასევე, უცნობია თუ რომელი საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება აღნიშნული საკითხი.<sup>68</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცინცაბაძის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„გამოძიების დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. გამოძიების ვალდებულება ეხება მხოლოდ განსახორციელებელ ზომებს, ხოლო სამართლებრივ

66 იხ. <http://mcla.gov.ge/?action=news&lang=geo&nid=1751>

67 იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს 2014 წლის 12 იანვრის განცხადება.

68 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2014 წლის 24 იანვარს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოითხოვა ის ნორმატიული მასალა (კანონქვემდებარე აქტები) რომლითაც რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (მათ შორის, კონკრეტულად სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში) განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების გამოყენება; ჩანაწერების შენახვის ვადა და პირობები. ასევე, მოთხოვნილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების სრული ასლები, მათ შორის, ამოღებული 377 GB ვიდეომასალა, რომელიც სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა 18 სათვალთვალო კამერამ 2013 წლის 13 დეკემბრის 12:00 საათიდან 2013 წლის 14 დეკემბრის 12:00 საათამდე ჩაიწერა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აღნიშნული ინფორმაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან ამ დრომდე არ მიუღია.

ბრივი დევნისა და მსჯავრდების უზრუნველყოფის აბსოლუტური უფლება არ არსებობს; ამავდროულად, გამოძიებისას დაშვებული ნებისმიერი შეცდომა, რომელიც ძირს უთხრის გამოძიების შესაძლებლობას დაადგინოს საქმის გარემოებები ან პასუხისმგებელი პირები, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ეფექტურობის მოთხოვნასთან.<sup>69</sup>

შესაბამისად, ივანე მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე ორივე უწყების – საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიებისა თუ სამსახურებრივი შემოწმების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს.

*მოქალაქეების: ბ.ს.–ს და ჯ.ვ.–ს საქმე*

2014 წლის 15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართეს „ტელეარხ 25“-ის დამფუძნებლებმა გ.ს.–მ და ჯ.ვ.–მ. განმცხადებლების განმარტებით, 2013 წლის 17 დეკემბერს, 22:00 საათზე, ისინი გამოცხადდნენ საქართველოს მთავარ პროკურატურაში და იმყოფებოდნენ 18 დეკემბრის დილის 5 საათამდე. მათი პროკურატურაში ყოფნის პერიოდში არ შემდგარა არანაირი საპროცესო დოკუმენტი. ისინი აცხადებენ, რომ პროკურატურის თანამშრომლები ემუქრებოდნენ, რომ თუკი არ მისცემდნენ საგამოძიებო ორგანოებისათვის სასურველ ჩვენებას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, მათ დააკავებდნენ და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაექვემდებარებოდნენ არასათანადო მოპყრობას. კერძოდ, კატეგორიულად სთხოვდნენ დაესახელებინათ კონკრეტული, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები და მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე მიეცათ ჩვენება. მათივე განმარტებით, მთელი ღამის განმავლობაში ემუქრებოდნენ და აიძულებდნენ ჩვენების მიცემას. ამის შემდეგ აიყვანეს მათ ხელმძღვანელთან და მისცეს დრო დასაფიქრებლად. განმცხადებლები განმარტავენ, რომ მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და მუქარას ახორციელებდა, მათ შორის, იმ დროს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი (ამჟამად, საქართველოს მთავარი პროკურორი).

*მოქალაქე რ.კ.–ს საქმე*

2014 წლის 15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე რ.კ.–მ. განმცხადებლის განმარტებით, მისი თანხის თაღლითობის გზით მისაკუთრების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, 2013 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიიღო შეტყობინება, რომ მოცემული საქმე, გამოძიების ჩატარების მიზნით, 2013 წლის 12 სექტემბერს გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოს, მისი განცხადების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე დღეში, იგი გასაუბრებაზე დაიბარა ანტიკორუფციული სააგენტოს უფროსის მაშინდელმა მოადგილემ (ამჟამად მთავარმა

69 ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, No. 35403/06, პარ. 78.

---

პროკურორმა). კაბინეტში იმყოფებოდა ასევე, გამომძიებელი და კიდევ 2 თანამშრომელი, რომლებიც დაპატიმრების მუქარით, მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ.

#### *მოქალაქე კ.ტ.-ს საქმე*

2013 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე კ.ტ.-მ და მიუთითა, რომ 2013 წლის 24 ნოემბერს დღის 3 საათზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ კლინიკაში შემოწმების ჩატარების მიზნით. გადაყვანისას და შემდეგ, ნარკოლოგიურ კლინიკაშიც, პოლიციელები მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მოქალაქის მტკიცებით, იგი 10-15 საათის განმავლობაში ითხოვდა ადვოკატთან შეხვედრას, რაც არ დაკმაყოფილდა. ამასთან, განმცხადებლის თქმით, დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში, მას პოლიციელები არაადამიანურად ეპყრობოდნენ. მისი დამცირება გაგრძელდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანასთანაც, რაც პოლიციელებმა გადაიღეს კიდევ ტელეფონის საშუალებით. აღნიშნული პოლიციელების ვინაობა კ.ტ.-სთვის უცნობია, გარდა ერთ-ერთი პოლიციელის გვარისა, რომელზეც იგი განცხადებაში მიუთითებდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას მიმართა. თუმცა, მთავარი პროკურატურიდან კ.ტ.-ს განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გადაიგზავნა.<sup>70</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან მიღებული წერილის თანახმად, მოქალაქე კ.ტ.-ს განცხადების საფუძველზე გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.<sup>71</sup>

#### *მამუკა მიქაუტაძის საქმე*

2013 წლის 5 ივლისს მამუკა მიქაუტაძე მოწმის სახით დაიკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მომდევნო დღეს, 6 ივლისს მისი გვამი აღმოაჩინეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან თავი ჩამოიხრჩო. მამუკა მიქაუტაძის მეუღლე და მეგობრები აცხადებდნენ, რომ დაკითხვის დროს პოლიციის თანამშრომლებმა მიქაუტაძეს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩვენების მიღების მიზნით, ახდენდნენ მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

---

70 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 30 დეკემბრის წერილი.

71 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 27 იანვრის წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შესწავლის შედეგების მიხედვით, სისხლის სამართლის №001060713003 საქმე მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცა გამოსაძიებლად, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.<sup>72</sup> თუმცა, მოგვიანებით, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 13 სექტემბრის რეკომენდაციის შემდგომ, აღნიშნული სს საქმე გამოძიებისათვის უკან დაუბრუნდა საქართველოს მთავარ პროკურატურას.<sup>73</sup>

*„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თანამშრომლის საქმე*

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2013 წლის 28 აპრილს, ბათუმში, აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის ვალერიან თელიას და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თანამშრომელ რ.ფ.-ს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დანყებული სამსახურებრივი შემონმების მასალები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოებულ სამსახურებრივი შემონმების №615085 საქმეში არის დასკვნა პოლიციის კაპიტან გ.ს.-ს მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემონმების შედეგების შესახებ. დასკვნა ემყარება პოლიციელების ახსნა-განმარტებებს და ამ დასკვნის თანახმად, გ.ს.-მ ჩაიდინა საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაფეროვანი შესრულება) და „ბ“ (სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც მისი მხრიდან გამოიხატა ბათუმში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართის „ბათუმის სახლიდან“ ვიდეო ჩანაწერის გადმონერისას გამოჩენილ უყურადღებობაში, რასაც შედეგად მისი განადგურება მოჰყვა. რაც შეეხება აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის ვალერიან თელიას, მოცემული სამსახურებრივი შემონმების დასკვნაში მის მიმართ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის და შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ არაფერია ნათქვამი.

**ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტების გამოძიების მიზნით შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ერთადერთი უფლებამოსილება აღნიშნული ორგანოების თანამშრომლებისა და ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიების წარმოება იქნება.**

72 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 7 აგვისტოსა და 4 ოქტომბრის წერილები.

73 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის წერილი.



პოლიციის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განსახილველად დამოუკიდებელი და ეფექტიანი სისტემის შექმნაზე საუბრობს თომას ჰამარბერგი თავის 2013 წლის ანგარიში – საქართველო გარდამავალ პერიოდში.

„დადგა დრო, მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების ფარგლებში და წარსულში არსებული სისტემური დარღვევების გათვალისწინებით, საქართველომ დაუყოვნებლივ გამონახოს საუკეთესო გზა, რომლითაც განხორციელდება ადამიანის უფლებათა დარღვევების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება ყოველთვის, როცა არსებობს ეჭვი, რომ ასეთ ქმედებებში მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოები. ამ გზით გადანყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა სცადონ იმ პრაქტიკის სავალალო შედეგების მინიმალიზაცია, რომლის მიხედვითაც „კოლეგები იძიებენ კოლეგების საქმეებს“. არაერთხელ გაჟღერდა რეკომენდაცია, რომ საქართველომ სერიოზულად უნდა განიხილოს დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნა, რომლის მოვალეობებშიც შევა არასათანადო მოპყრობასა და წამებასთან დაკავშირებული ყველა საჩივრის გამოძიება. და კვლავ, ქვეყნის უახლოესი წარსულისა და მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ნდობის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, სრულიად დამოუკიდებელი უწყების შექმნა აუცილებელია.“<sup>74</sup>

## II. ზედმიწევნითობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, გამოძიების ეფექტურობის აუცილებელი პირობაა, რომ „მისი დასკვნები [...] ეფუძნებოდეს ყველა რელევანტური ელემენტის ზედმიწევნით, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. როდესაც გამოძიება არ მიყვება კვლევის გამოკვეთილ ხაზს ეს აკნინებს გამოძიების უნარს დაადგინოს საქმის გარემოებები და პასუხისმგებელი პირები.“<sup>75</sup>

საქმეში „ბათი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ განმარტა,

„ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა მოიპოვონ ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის, [...] გასაჩივრებულ ფაქტებთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლთა დეტალური ჩვენებები, თვითმხილველთა ჩვენებები, სასამართლო სამედ-იცილო მტკიცებულებები და სადაც ეს შესაძლებელია დამატებითი სამედ-იცილო დასკვნები, რომლებშიც სრულად და ზუსტად იქნება აღნუსხული დაზიანებები და ამავე დროს ობიექტურად იქნება გაანალიზებული სამედ-იცილო დასკვნები, განსაკუთრებით დაზიანების მიზეზებთან დაკავშირებული დასკვნები. გამოძიების ნებისმიერი დეფექტი, რომელიც ხელყოფს გამოძიების შესაძლებლობას დაადგინოს დაზიანების მიზეზი ან ამ დაზიანების

74 საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, 2013 წელი, გვ. 34–35.

75 ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v Georgia), No. 35403/06, 15.02.2011, პარ. 85.

გამონვევაზე პასუხისმგებელი პირი, ქმნის იმის საფრთხეს, რომ გამოძიება შეუსაბამო იქნება ამ სტანდარტთან.<sup>76</sup>

გამოძიების ზედმინევენითობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ საქმის რელევანტური გარემოებები შეფასებული იქნეს ზედმინევენიტ, თანმიმდევრულად და ობიექტურად.<sup>77</sup> მაგალითად, საქმეში ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულების მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად გამოძიებამ არ გადაამოწმა, თუ ვის უკავშირდებოდა ოთხი მსჯავრდებული და საქმეში გარეული მინისტრის ცოლის ჯგუფის წევრები დანაშაულის ღამეს: „სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველა იმ პირის იდენტიფიცირება, რომელსაც ოთხი მსჯავრდებული დაუკავშირდა შესაბამისი პერიოდის განმავლობაში აშკარად რელევანტური იყო საქმის ზედმინევენიტი და ობიექტური გამოძიებისთვის.“<sup>78</sup> უმოქმედობა ამ და სხვა რელევანტური გარემოებების დასადგენად საფუძვლად დაედო სასამართლოს დასკვნას, რომ თბილისის საქალაქო პროკურატურის მიერ ჩატარებულ გამოძიებას აშკარად აკლდა საჭირო ზედმინევენითობა და ობიექტურობა.

დამატებით ზედმინევენითობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ გამოძიების ჩატარების პროცესში დაცული იქნეს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები<sup>79</sup> და გამოძიების ფარგლები იმგვარად განისაზღვროს, რომ არ მოხდეს დარღვევაზე მიმანიშნებელი მნიშვნელოვანი გარემოებების უგულებელყოფა.<sup>80</sup>

ზედმინევენიტი გამოძიების ჩატარების ვალდებულებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს: გამოძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. საქართველოს კანონმდებლობის ეს ერთი ნორმა სავსებით საკმარისი და გასაგები უნდა იყოს გამოძიების მწარმოებელი პირისთვის/ორგანოსთვის, როგორც იმპერატიული ძალის მქონე სახელმძღვანელო პრინციპი გამოძიების წარმოების პროცესში. როგორც მინიმუმ, იგი გულისხმობს გონივრული ძალისხმევის შედეგად საქმესთან კავშირში მყოფი ყველა მტკიცებულების მოპოვებას და ამავე მიზნით ყველა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას კანონით დადგენილი წესით.

მიუხედავად ამ იმპერატიული დანაწესისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ არაერთ განცხადებაში დაფიქსირდა, რომ მოქალაქეები მიუთითებენ ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარე-

76 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 57.

77 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 63.

78 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girvliani v Georgia), No. 25091/07, 26.04.2011, პარ. 255–258.

79 ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v Georgia), No. 35403/06, 15.02.2011, პარ. 81

80 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 65.

ბლობაზე ან ჩატარებაზე დროის ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი იმ თვალსაზრისით, რომ მტკიცებულებების და ინფორმაციის საჭირო სტანდარტის გარეშე, რაც აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის არსებობისთვის, შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ხოლო ალბათობის მაღალი ხარისხით მტკიცებულებითი სტანდარტის გარეშე წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ გადასცემს საქმეს არსებითი განხილვისთვის. ეფექტიანი გამოძიების ჩატარების გარეშე, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს ზედმინევენითობა წარმოადგენს, შეუძლებელია მართლმსაჯულების განხორციელება.

### III. სისწრაფე

ისევე, როგორც გაეროს აქტების შემთხვევაში, ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოებიც (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი) მოითხოვენ, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს სწრაფად. აღნიშნული მოთხოვნა განმარტებულია საქმეში „ეიჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“:

„ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ მოქმედება დაიწყონ ოფიციალური განაცხადის აღძვრისთანავე. სისწრაფის და გონივრული დაჩქარების მოთხოვნა თავისთავად გამომდინარეობს კონტექსტიდან. არასათანადო მოპყრობის ბრალდებებზე ხელისუფლების ორგანოების სწრაფი პასუხი შეიძლება ზოგადად ჩაითვალოს არსებითად სამართლის უზენაესობის დაცვის მიმართ საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და რაიმე შთაბეჭდილების გამოსარიცხად, რომ ადგილი აქვს უკანონო ქმედებების მიმართ შემწყნარებლობას ან საიდუმლო შეთანხმებას.“<sup>81</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადება თითქმის ორი თვის განმავლობაში იგზავნებოდა უწყებებს შორის მისი განხილვის გარეშე, ხოლო პოლიციამ უარი განაცხადა დროულად ჩარეულიყო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება ვერ აკმაყოფილებდა ეფექტურობის მოთხოვნას.

გამოძიების სისწრაფის შეფასებისას, სასამართლო ითვალისწინებს, რა დრო დასჭირდა გამოძიების დაწყებას, პირველადი მტკიცებულებების შეგროვებას და წინასწარ გამოძიებას მთლიანად.<sup>82</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი ადგენს, რომ გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს, შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.

81 ეიჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v Georgia), No. 71156/01, 03.05.2007, პარ. 96.

82 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 66.

ამდენად, თითოეული დანაშაულისათვის მისი კატეგორიის მიხედვით (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე) განსხვავებული ვადაა დაწესებული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

- ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
- ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–342<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;
- ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლის მე–ნ ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობა მიუთითებს გამოძიების წარმოების გონივრულ ვადაზე, თუმცა ბუნებრივი და გასაგებია, რომ „გონივრული ვადა“ განსაზღვრული არ არის. გონივრული ვადა შეფასებითი კატეგორიაა. შესაძლებელია, საქმის სირთულიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, კონკრეტული საქმის გამოძიების წარმოების ვადა განსხვავებულად შეფასდეს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქმის სირთულისა (ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით), გამოძიების მწარმოებელი პირის/ორგანოს უმოქმედობა (საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დაყოვნება გარკვეული დროით, მტკიცებულებათა კანონით დადგენილი წესით მოპოვებისთვის ნაბიჯების გადაუდგმელობა) ცალსახად უნდა შეფასდეს როგორც გამოძიების გაჭიანურება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების ერთ–ერთ კრიტერიუმს – სისწრაფეს.

ამდენად, თითოეული დანაშაულისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, მისი ჩადენიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, შესაძლებელია მიმდინარეობდეს გამოძიება, თუმცა ეს არ იძლევა გამოძიების გაჭიანურების საფუძველს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლში მოცემული ვადა არის მაქსიმალური ვადა, რომელშიც შესაძლებელია გამოძიების წარმოება. ზემოაღნიშნული მუხლით ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველია დადგენილი, რადგან შეუძლებელია გამოძიება უსასრულოდ მიმდინარეობდეს, დროის ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ ფაქტზე რეაგირება შედეგს და აზრს მოკლებულია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ შენიშნავს:

„ხანდაზმულობა სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, ინვეს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. ამ ინსტიტუტის არსებობა, ერთი მხრივ, იმის აღიარებაა, რომ ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელება და სამართლიანი სასამართლოს ჩატარება გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ არაპრაქტიკულია, ვინაიდან საამისოდ აუცილებელ გარემოებებთან ერთად იკარგება მტკიცებულებები და მონმეების ჩვენებები აღარ არის მყარი. მისი მიზანია იმის სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომ სასამართლო არ იყოს ვალდებული გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ვადის გასვლის გამო ითვლებიან არასრულყოფილად. ამით კანონმდებელი უარს ამბობს საეჭვო მართლმსაჯულებაზე, პირის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს და ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან. ამას შედეგად მოსდევს პირის უფლება, არ იქნეს მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ეს კი იმისი აღიარებაა, რომ დანაშაულებრივმა ქმედებამ დაკარგა შეფასებისუნარიანობის ის თვისება, რაც აუცილებელი იქნებოდა პირზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და მეორეც, სისხლისსამართლებრივი ქმედება, რომელიც დანაშაულად კვალიფიცირდება არა როგორც ფაქტობრივი სინამდვილის, არამედ როგორც იურიდიული სინამდვილის ფაქტი, კარგავს თავის თვისობრიობას კონკრეტული პირის მიმართ.“

ამიტომაც, საქართველოს გამოძიების მწარმოებელ ორგანოებში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ გამოძიება მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადებში (2, 6, 10, 15 და 25 წლის განმავლობაში), რამაც დროის გაუმართლებლად ხანგრძლივი პერიოდი შეიძლება მოიცვას, ეფექტიანი გამოძიების სისწრაფის კრიტერიუმს ვერ დააკმაყოფილებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების დიდი ნაწილი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებს შეეხება, სწორედ გამოძიების გაჭიანურების კუთხით არის შემოტანილი.

#### IV. კონკრეტული

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ისევე როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტის შეფასებები მიუთითებს, რომ გამოძიების ეფექტურობისთვის აუცილებელია გამოძიების მწარმოებელ ორგანოს გააჩნდეს სრული სამართლებრივი კომპეტენცია საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გამოსაკვლევადა და სამართლებრივი ან პრაქტიკული ბარიერები, როგორცაა ინფორმაციის გასაიდუმლოება, ცალკეულ პირთა იდენტიფიცირების აკრძალვა, არ უნდა უშლიდეს ხელს გამოძიების ჩატარებას.<sup>83</sup>

<sup>83</sup> ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 68.



ამასთან, ისევე როგორც გაეროს აქტების შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციებიც მიუთითებენ მსხვერპლის და მონმეების დაცვის უფლებამოსილების მნიშვნელობაზე და ცალკეულ შემთხვევებში, გამოძიების ზენოლისგან დასაცავად ეჭვმიტანილი თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილების შეჩერების საჭიროებაზე.<sup>84</sup>

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, ისევე როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხშირად მიუთითებენ გამოძიების „ადეკვატური ფინანსური და ტექნიკური რესურსებით და ჯეროვანი კვალიფიკაციის მქონე სამართლის, მედიცინისა და სხვა სპეციალისტებით“ უზრუნველყოფის საჭიროებაზე.<sup>85</sup>

გამოძიების წარმოების კომპეტენციაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გამოძიების დაწყების ვალდებულებაზე. ასევე, გვერდს ვერ ავუვლით დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზს და შეფასებას, რომლის მიხედვით, შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში ამავე უწყების თანამშრომლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე განცხადების/საჩივრის შესვლისას, როგორც წესი, იწყება არა გამოძიება, არამედ სამსახურებრივი შემოწმება, რომელსაც ატარებს ამავე ორგანოს გენერალური ინსპექცია.

ორგანო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება გამოძიების წარმოება, ვალდებულია დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება. ეს წესი გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლიდან, რომელიც გამოძიების დაწყების მოვალეობას ადგენს, კერძოდ, „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.“ გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. აღნიშნული დანაშაულის შესაბამისად, არსებობს გამოძიების დაწყების ვალდებულება და გამოძიების დაწყებისგან თავის არიდების მექანიზმი არ არსებობს.

დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში უპირობოდ უნდა დაიწყოს გამოძიება და არა სამსახურებრივი შემოწმება. მხოლოდ მას შემდეგ, თუ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არ გამოვლინდა ან არ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, არ დადასტურდა დანაშაულის ჩადენის ფაქტი, უნდა შეწყდეს გამოძიება.

სამართალდამცავი პირების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ცალკეულ შემთხვევებში, რომლებიც შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, შესაბამისმა საგამოძიებო სტრუქტურამ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება და არა გამოძიება, როგორც ამას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს. ხოლო, გამოძიება დაიწყო მხოლოდ მას შემ-

84 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 69

85 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 82

დეგ, რაც სამსახურებრივი შემონმების შედეგად გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები. საქმეთა ნაწილი კი მხოლოდ სამსახურებრივი შემონმების შედეგების საფუძველზე იქნა დასრულებული.

სამსახურებრივი შემონმება არ უნდა განიმარტოს როგორც გამოძიების ალტერნატივა. გამოძიების დაწყება სავალდებულოა დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც გამოძიებელი ან პროკურორი მიიღებს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, იგი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება. ინფორმაციის მიღების სახეს და ფორმას მნიშვნელობა არ აქვს – იქნება ინფორმაცია ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, მასმედიის საშუალებებით გავრცელებული და ა. შ. სამსახურებრივი შემონმება არ წარმოადგენს გამოძიების წინარე ეტაპს. წინა ეტაპს ან წინაპირობას გამოძიების დაწყებისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

სამსახურებრივი შემონმების ჩატარება გამოძიების დაწყების ნაცვლად სახელმწიფოს მხრიდან მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევაა, რადგან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არსებობს ვალდებულება დაიწყოს (ჩატარდეს) გამოძიება. როგორც მინიმუმ, ეს გულისხმობს გამოძიების დაწყებას სწრაფად, დაუყოვნებლივ, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა უწყება (რომელიც იმავდროულად უფლებამოსილი არის ჩაატაროს გამოძიება) იწყებს სამსახურებრივ შემონმებას, უგულებელყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებას გამოძიების დაწყების შესახებ.

## V. მსხვერპლის მონაწილეობა საზოგადოებრივ კონტროლში

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ალიარა, რომ კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, არა მარტო თავი შეიკავონ ფუნდამენტური უფლებების დარღვევისაგან, არამედ გადადგან პოზიტიური ნაბიჯები მათი დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მოსაზრებას ამყარებს კონვენციის პირველი მუხლის ტექსტი, რომლის მიხედვით, ხელშემკვრელი მხარეები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასთვის „უზრუნველყოფენ“ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“<sup>86</sup> „სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის ადგილთან დაკავშირებით ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კონვენციის საფუძველზე მას აქვს უფლება, დამნაშავე მიეცეს სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში და დაისაჯოს ბრალის დადასტურების შემთხვევაში. თუმცა, ამავე დროს, მსხვერპლს არ გააჩნია რაიმე სახის საპროცესო უფლება. ეს წამოჭრის საკითხს მე-13 მუხლის, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების საფუძველზე, რომლითაც სარგებლობს ყველა, ვისაც აქვს დასაბუთებული საჩივარი, რომ კონვენციით განსაზღვრული უფლების დარღვევის მსხვერპლია. აღნიშნული დაცვის საშუალებები უნდა იყოს ეფექტიანი, ისინი შეიძლება იყოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი. შედეგად ვიღებთ ისეთ ვითარებას, როდესაც კონვენციის საფუძველზე პირს შეიძლება მოეთხოვებოდეს სისხლის სამართალ-

86 „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პარ. 239, შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009 წ. გვ. 59

წარმოების ეტაპის გავლა საპროცესო უფლებებით სარგებლობის გარეშე... თავის პრეცედენტულ სამართალში სასამართლომ აღიარა სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისთვის. სასამართლოს განმარტებით, კონვენციის საფუძველზე, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ სისხლისსამართლებრივ დევნას საეჭვო გარემოებებში პირის გარდაცვალების ან იმ პირთა ხელში მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის საკმარისი მტკიცებულებების არსებობისას, რომლებიც ხელისუფლების სახელით მოქმედებდნენ.”<sup>87</sup>

„ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებმა ყოველგვარი უფლებების გარეშე უნდა დატოვონ მსხვერპლი, შესაძლო ბოროტმოქმედის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში არაადამიანური ილტვობისა და უნდა მივიჩნიოთ. პოლიტიკური ორგანოები უკვე აცნობიერებენ ამ პრობლემას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რამდენიმე რეკომენდაცია მიიღო აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, დანაშაულის მსხვერპლთა იურიდიული დახმარების, სასამართლო მოსმენის გამართვის ადგილისა და დროის, ასევე, სამართალწარმოების შედეგების შესახებ მათი ინფორმირებისა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის გასაჩივრების უფლების მინიჭების შესახებ.“<sup>88</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სიცოცხლის უფლების დარღვევის ყველა საქმეში უნდა მოხდეს მსხვერპლის უახლოესი ნათესავების ჩართვა სამართალწარმოებაში, რამდენადაც ეს საჭირო იქნება მათი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.<sup>89</sup> ენუქიძის და გირგვლიანის საქმეში, მეორე დაზარალებულისა და გარდაცვლილის ნათესავებისთვის საქმის წარმოების მასალებსა და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე უარის თქმის გათვალისწინებით სასამართლომ განაცხადა: „განმცხადებლისა და მეორე სამოქალაქო მოსარჩელისთვის სისხლის სამართლის სამართალწარმოების მასალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით ან სულ მცირე გამოძიების მსვლელობის შესახებ ახალი ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებაზე უარის თქმით, რასაც თან ერთვის სხვა სერიოზული დარღვევებიც, პროკურატურამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა დაეცვა უახლოესი ნათესავების ინტერესები და უზრუნველყო, რომ გამოძიების მიმართ ხორციელდებოდა საკმარისი ხარისხის საზოგადოებრივი კონტროლი.“<sup>90</sup>

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მსხვერპლის უფლებების დაცვის მოწინავე სტანდარტები ასახულია 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპის კავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2012/29/EU „დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, დახმარებისა და დაცვის მინიმალური

87 შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009 წ. გვ. 60

88 „პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ“, პარ.26–9. შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009 წ. გვ. 61.

89 იხ. მაგ: საქმე ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Khaindrava and Dz-amashvili v Georgia), No. 18183/05, 08.06.2010, პარ. 59–61.

90 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v Georgia), No. 25091/07, 26.04.2011, პარ. 258

სტანდარტების დადგენის შესახებ, რომელმაც ჩაანაცვლა საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2001/220/JHA“. დირექტივა ითვალისწინებს მსხვერპლის აღიარებისა და პატივისცემის უფლებებს, ინფორმაციის სრულყოფილად მიღებისა და დახმარების უფლებებს, სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლებებს და დაცვის უფლებებს. აღნიშნული უფლებების ოთხი ჯგუფი უზრუნველყოფს მსხვერპლის სათანადო ჩართვას მისი ლეგიტიმური ინტერესების დაცვისათვის და რეაბილიტაციისთვის სისხლის სამართალწარმოებაში. ამასთან, მსხვერპლის ინდივიდუალური უფლებების გარდა, მისი მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა გამოძიებაზე საჯარო კონტროლის უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ გამოძიების ეფექტურობის შემადგენელი ელემენტია.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ბულგარეთში ვიზიტთან დაკავშირებულ მოხსენებაში მიუთითა სტატისტიკური მონაცემების წარმოების და დამუშავების საჭიროებაზე ჩატარებულ გამოძიებებთან დაკავშირებით.<sup>91</sup> აღნიშნული საქმიანობა კოორდინირებულად უნდა განახორციელონ სახელმწიფოში გამოძიებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა. საზოგადოებისთვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდება თავისთავად მნიშვნელოვანი ბერკეტია გამოძიების ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლისთვის.

გამოძიების პროცესის მიმდინარეობისას დაზარალებულს/მის უფლებამონაცვლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გამოძიების მიმდინარეობაზე და შესაძლებლობა მიეცეს ჩაერთოს მასში. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-2 მუხლის ერთ-ერთი პრინციპი დაზარალებულის ან დაზარალებულის უფლებამონაცვლის გამოძიების პროცესში უპირობო და აუცილებელ ჩართვას გულისხმობს.

დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლის გამოძიებაში მონაწილეობა არ ნიშნავს სისხლისსამართლებრივი დევნის კერძო პირისთვის გადაცემას და შურისძიების მექანიზმის ამოქმედებას. დაზარალებულის ან დაზარალებულის უფლებამონაცვლეთა მონაწილეობა გამოძიების პროცესში მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დაზარალებულის უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს.<sup>92</sup> საქართველოს სისხლის

91 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 84

92 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა; უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განუული ხარჯების ანაზღაურება; დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება; მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულს გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე თითქმის არც ერთ უფლებას არ ანიჭებს. მას საქმის მასალებზე ხელი არ მიუწვდება, მხოლოდ ეცნობება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის შესახებ, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი სხდომის თარიღები, გადაეცემა შემაჯამებელი გადაწყვეტილების ასლები და უფლება აქვს სამოქალაქო წესით წარადგინოს სარჩელი, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მსხვერპლის ეფექტური მონაწილეობა და ჩართულობა გამოძიების მიმდინარეობაში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავს დანაშაულის მსხვერპლის (დაზარალებულის) მონაწილეობას გამოძიების პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს მხოლოდ გაასაჩივროს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად, ზემდგომ პროკურორთან. ამავე კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან. ამდენად, თუ სისხლის სამართლის საქმეში პირი ცნობილია დაზარალებულად, შემდეგ წყდება გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორის გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, დაზარალებულს უფლება აქვს გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურორთან. დამკვიდრებული პრაქტიკით, სისხლის სამართლის საქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იმთავითვე შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, ამიტომ დაზარალებულისთვის მისი ამ ფორმით გასაჩივრება როგორც წესი, შედეგის მომცემი არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალია სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა მომართვიანობა, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში სთხოვენ დახმარებას, მათ შორის, იმის გარკვევას, ჩატარდა თუ არა ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება საგამოძიებო ორგანოების მიერ, დაკითხულია თუ არა კონკრეტული მოწმე ან/და ჩატარდა თუ არა ამა თუ იმ სახის ექსპერტიზა. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მსგავსი განცხადებების დიდი რაოდენობა მოწმობს იმას, რომ დაზარალებულთა ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის პირობებში მეტად შეზღუდულია.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არაერთ საქმეში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც პირებს, რომლებსაც ზიანი მიადგათ უშუალოდ დანაშაულის შედეგად, არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, რაც არსებული საკანონმდებლო ნორმების არასწორი ინტერპრეტაციის და საკითხისადმი არასწორი დამოკიდებულების შედეგია.<sup>93</sup>

93 საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, გვ. 213-219.



მნიშვნელოვანია, ასევე, საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში დაზარალებულის კანონიერი ინტერესების გაუთვალისწინებლობის საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება. მოცემულ მუხლში საუბარია კონსულტაციაზე, ინფორმაციის მიწოდებაზე და არა დაზარალებულის მოსაზრების გათვალისწინებაზე. მართალია, საპროცესო შეთანხმება იდება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, მაგრამ დაზარალებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დაფიქსირება, იმისათვის, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეების შეთანხმება დაზარალებულის უფლებების შეულახავად განხორციელდეს. აღნიშნული განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ ფონზე, როცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადება დასაშვებია ნებისმიერი ხასიათის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულს უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. თუმცა, სიცოცხლის უფლების, აგრეთვე წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში, მხოლოდ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურება სამართლიან დაკმაყოფილებად ვერ ჩაითვლება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც ფაქტობრივად გარდაქმნის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს და ასევე, ზრდის დაზარალებულის უფლებებს. ამ ცვლილებების ინიცირება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან პარლამენტის მიერ მათი მიღება მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს.

## დასკვნა

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც აპარატის მიერ არაერთი საქმის შესწავლისა და ანალიზის შედეგად მომზადდა, ცხადყოფს და გამოკვეთს იმ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს, რაც საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ფიქსირდება ეფექტიანი გამოძიების წარმოების თვალსაზრისით. ამ მიმართულებით, აუცილებელია დაიწყოს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების განსახორციელებლად, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის მიზნით, რომელიც უხელმძღვანელებს გამოძიების წარმოებას სამართალდამცავი პირების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის (სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის) ფაქტებზე და მეორე მხრივ, დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს (სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და

---

ღირსების შემლახავი მოპყრობის) გამოძიების პროცესში, რათა დაზარალებული ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

ასევე, მნიშვნელოვანია, არსებული კანონმდებლობის პირობებშიც, საქართველოს პროკურატურამ აწარმოოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლისა და სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამოძიება. ამასთან, გამოძიების მწარმოებელმა პირმა/ორგანომ უზრუნველყოს გამოძიების წარმოება სწრაფად, ზედმინწევით. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, აუცილებელია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიება.

## **რეკომენდაციები:**

### **საქართველოს პარლამენტს**

- მომზადდეს და განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რათა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც აწარმოებს გამოძიებას სამართალდამცავების მიერ (იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლის, ასევე სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე) სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე.
- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სიცოცხლის მოსპობის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის საქმეებში, დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, დაზარალებულს უფლება მიეცეს ჩაერთოს გამოძიების პროცესში, ჰქონდეს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მიუწვდებოდეს ხელი ამ ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებზე.

### **საქართველოს იუსტიციის მინისტრს**

- დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნამდე, მკაფიოდ გაიმიჯნოს და ნათლად ჩამოყალიბდეს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხები. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოძიების წარმოება განხორციელოს საქართველოს პროკურატურამ.

---

## საქართველოს მთავარ პროკურორს

- იმ საქმეების გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს სამართალდამცავების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, ასევე, სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე, გამოძიების წარმოების მიზნით გადაეცეს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- განხორციელდეს გრიფის მოხსნა (განსაიდუმლოება) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების იმ ნაწილისთვის, რომელიც გამოძიების წარმოების წესს ადგენს.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას

- დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უზრუნველყოფილი იქნას გამოძიების დაწყება და არა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება. სამინისტროების გენერალური ინსპექციების მიერ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება არ უნდა განიხილებოდეს როგორც გამოძიების წინარე ეტაპი. ასევე, უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების ჩატარება ზედმინევნით და სწრაფად.

